ამ საკითხში, ჩემს კომენტარებს, მართლაცდა უადგილად ვთვლი. სამაგიეროდ, ოცი საუკუნის დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ერთი ლოგიკური შეკითხვა შებადება ამ "წყაროების" ავტორებთან: კი მაგრამ, მაშინ სადღა მოვათავსოთ ქრონოლოგიურად მოვლი მსოფლიოს მიერ რეალობად აღიარებული ელინურივე მითი, რომლის მიხედვით აიეტის ეპოქის განვითარებული კოლხიდიდან, სამრეწველო ტექნოლოგიური საიდუმლოების გატაცების მიზნით, არგონავტებს სამხედრო ექსპედიციასაც კი უფინანსებენ? (ეველაფერი დანარჩენი ბელეტრისტიკაა!)

ჯერ ერთი, ცნობილია, რომ სეზოსტრიხის (რამზეს II) ლაშქრობა ხეთების წინააღმდეგ მოხდა არა კავკასიაში, (როგორც პეროდოტე ფიქრობს) არამედ სირიაში, მდ. ორონტოსთან. კიდევაც ასე რომ ყოფილიყო, სეზოსტრიხი, ეს ძე.წ. XIII საუკუნეა, ხოლო აგრონავტების ლაშქრობას ბრინჯაოს ხანის XIV საუკუნეს აკუთვნებენ.

ჩემი მოსაზრებით, პეროდოტე რვა საუკუნით უადრესი მოუღენების სუბიექტურად ინტერპრეტირება არ გახლავთ მეცნიერული შეცდომა. იგი ელინური ექსპანსიური იდეოლოგიის გამოხატულებაა და ელინთა საკოლონიზაციო არქალიდან ადგილობრივ აბორიგენტთა ტერიტორიულ-წარმომავლობითი

მახსოვრობის წარხოცვას ემსახურება. სტეფანე ბიზანტიელი (ა.წ. V ს.) წერს, რომ: "ლაზები სკეითური ტომია"-ო, კალიმახი (ძე.წ. III ს.) წერს, რომ "ხალიბები სკეითური წარმოშობისა არიან"-ო და სხვა. ტენდენცია სქემატურად გამოკვეთილია: კოლხების მიმდებარე ერთსახელა "ველური" ტომები კელაზგიიდან მოვიდნენ ტროას ომის შემდეგ, კოლხები კი ან ეგვიპტიდან არიან წამოსულები "ამ უკაცრიელ" ამიერკავკასიაში ან სკეითეთიდან.

ძალიან ახლოს ხომ არ დგას ეს პოლიტიკა დღევანდელთაბათან? რასაკვირველია, მხოლოდ ერთი "პატარა" განსხვავებით: კოლხების მიმდებარე ერთსახელთა ხალხები (კერკერები, ინოხები, ხანები, ქორაკები, აბსარები), ამჯერად, კელაზგიიდან კი არ მოვიდნენ თურმე, არამედ ადიღედან!

დადგა დრო თანამედროვე ისტორიკოსებსაც შევეკითხოთ: ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება თუ არა, ხალხთა წარმოშობის საკითხში, ასეთ "წყაროთა" ვარაუდებს დავეყრდნობ?

ქართული სიტყვიერება ისტორიული დოკუმენტი!

მონაცემების ნაკლებობის, ორაზროვნებისა და უზუსტობის პირობებში სად უნდა ვეძიოთ დაკარგული ისტორიული სინამდვილეები თუ არა საკუთარ ენაში, არის თუ არა "ამას ენასა შინა დამარხულ" ეს საიდუმლოც? "კავკასოს" თავდაცვით სისტემის ძირითად საკომუნიკაციო საშუალებად ქართული ენის გამოყენების რწმუნებისათვის, ენახოთ რამდენად შეუძლია მას იტვირთოს ისტორიული დოკუმენტის როლი, დააფიქსიროს გადავიწყებული და მემატიაჩეთა მიერ უყურადღებოდ დარჩენილი მოვლენების ამსახველი ტერმინების ანარეკლები, მათი ეტიმოლოგიური საწყისები, დამახინჯების გარეშე შემოგვინახონ, როგორც აზრობრივი მნიშვნელობით, ასევე ხმოვანებითა და სუსტი შესაბამისი დამწერლობით! ქვემოთ საშუალება გექნებათ თავად დარწმუნდეთ ამაში:

1. ტერმინი "კერკეტი" დაკავშირებულია ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულ ხალხთან, რომელთა განსახლება I საუკუნისათვის მითითებულია კოლხური შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით, ფაქტიურად იქ, სადაც, "ქართლის ცხოვრების" მიხედვით თავდება "ეგროსის" ტერიტორიალური წილი: "სადაც წარსწტების წუერი კავკასიისა". დღევანდელი

შესაბამისობით ეს არის გელენჯიკის რაიონი, გეოგრაფიულად, "კავკასოს" დაცვით სისტემაში ზღვისპირა შემოსახულელი დერეფნის საწყისი წერტილი. ეს ტერმინი, თანამედროვე ისტორიოგრაფების უმრავლესობის აზრით, ჩათვლილია აღიღთა წინაპრების აღმნიშვნელ ეთნონიმად, თითქოს, ასეთის მტკიცების არგუმენტს წარმოადგენს სიტყვის ხმოვანებითი მსგავსება ეთნონიმ ნერქესთან. (?) ბერძნულ-ლათინურ აღფაბეტებს "ნ" ასონიშანი არ ახასიათებს და ის ბგერითი დამახინჯება, რომელიც შეიძლება შექმნას სიტყვის ბერძნულად ნაწერის მომენტში " " (კაკა) ნიშნით ("კერკეტო"), რატომ უნდა ჩათვლილიყო ნერქესის ხმოვანება? მითუმეტეს, აღიღურ ენაში მას აზრობრივი ახსნა არ ეძებება. რაც ყველაზე მთავარია, "კერკეტები" იგივე წყაროებში მოხსენიებული არიან ძველი კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულუბის ასევე უკიდურეს წერტილშიც! მოუსმინეთ სტრაბონს: "ტრაპესუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ხალიბები და სანები, რომელთაც ადრე მაკრონებს ეძახდნენ და იმყოფება მცირე არმენია; ამ ადგილებთან ახლოს აგრეთვე ცხოვრობენ აპაიტები, ყოფილი კერკეტები" (!). სტრაბონის ამ ცნობაში დასაფიქსირებელია, რომ ხალხები რწყებიან და მათი დასახელებები კი ადვილად იცვლებიან. მთავარი ლოგიკური კითხვა კი უპასუხოდ არის დარჩენილი: თუ ეს სახელი ეთნონიმია, რატომ უნდა ცხოვრობდნენ ისინი კოლხების ორივე მხარეს სიმეტრიულად? რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ჩრდილოელ კერკეტებს სამხრეთ კერკეტებთან გარდა იმისა, რომ ორივე სახელი უკავშირდება ისტორიული კოლხიდის გეოგრაფიულად სტრატეგიულ ზღვისპირა დერეფნებს. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სახელი კერკეტნი, ეტიმოლოგიურად, დაცვითი ფუნქციის მატარებელ მოსახლეობას უნდა აღნიშნავდეს, დასაცავი ობიექტიდან ყველაზე მოშორებულ ფენას - ქერქს! ქართულ სიტყვიერებაში აზრობრივად სრულად არის შემორჩენილი მისი შესატყვისი მნიშვნელობა, როგორც გაუტყხელის, მაგარის, მყარის. ასევე, ფუნქციონალურად ესადაგება მისგან ნაწარმოები სიტყვაც - კირკიტი ანუ თვალთვალი, რაიმეს მიმართ უკიდურესი ყურადღებით ყოფნა. იგივეს გვიდასტურებს ქართული გვართმასსოვრება: კერკესლიშვილი, კერკენჯია (ამ იშვიათ გვარში შემონახულია სამეფო დაცვის წარმომადგენლობის მახსოვრობა), კირკიტაძე, კირკიტაშვილი, კირკაშვილი,

კირკასელი და სხვა. "კერკეტთან" დაკავშირებით ძნელი წარმოსადგენია, რომ აღარ გუახსოვს არც გუშინდელი საკუთარი სიტყვა და არც მისი მნიშვნელობა: "კერკეტონი არიან კაცნი ღამეთა მცველნი, რათა ბოროტად მოქმედნი არა უტყონ!" ("ღექსიკონი ქართული" სულხან-საბა). ახლა ქართულ ისტორიაში მოვიძიოთ, ნამდვილად არსებობდა თუ არა ასეთი სამსახური წყნთან?

თეიმურაზ ბატონიშვილი (ერეკლეს შვილიშვილი) "ახალ ისტორიაში" წერს, რომ სოლომონ მეფე, (შეპყრობილი ჰყავდა მეფისნაცვალს ტფილისს) "განივლტო შემწეობითა იმერლისა ვინმე წერეთლის ემისაგან, რომელიცა იყო ტფილისს კერკეტონად და იყო მინიველ ტოლმანად მეფისა, რომელმაცა უწყადა ენა რუსული. მან შთააცვა მას ტანისამოსი თვისი ღამე და რუსთა დარაჯთა ჰგონეს იგი კერკეტონად (შესაბამისად, კერკეტო საკუთარი ფორმაც გააჩნდათ - გ.ე.) მით, რამეთუ უამსა მას ტფილისს ყოველივე კერკეტონი იყუნენ იმერთაგანნი". ამის გამო, ტოლმასოვმა "ღაახერეცინა თოფითა ოთხნი კერკეტონი, კაცნი უბრალონი, ამად რომელ, ვინაიდან იყვნენ დღისა მორიგენი ქალაქისანი, ჭვრეტისათვის კარგისა რიგისა"...

ყოველივე უემოთქმულიდან მტკიცდება, რომ ტერმინი "კერკეტი" არ არის ეთნონიმი, შესაბამისად მას არავითარი საერთო არ აქვს ეთნონიმ ნერქესთან, ეკუთვნის გიორგიანულ სამყაროს, ეტიმოლოგიურად ნიშნავს მცველს და გარკვეული ისტორიული პერიოდის მანძილზე გამოიყენებოდა უკიდურესი სასახლდურო დასახლებების აღნიშვნელ ტერმინად.

რაც შეეხება ეთნონიმ ნერქესს, მან აღიღთა სახელად ფეხი მოიკიდა XVI-XVII საუკუნეებში, ირანული წარმოშობისაა და ნიშნავს მტაცებელ ფრინველს. (იხ. *Макс Фасмер. "Этимологический словарь русского языка"* 1973.) იქცევა ავტორის მიწაწერი: "*Очевидно не связано с этнонимом керкетий*" (!).

ჯერკასი, ჩარქასი, ოსურად არის არწივი. სოლდური ენით (ირანულის მკვდარი დიალექტია) მტაცებელი ფრინველია, ქათმის მჭამელი და სხვა. (იხ. *В. Абаев. "Историко-этимологический словарь осетинского языка"*).

როგორც ირკვევა, რუსებიც ამიტომ არქმევენ ადიდელებს "ნერქეს"-თ, თუმცა ადრე მათ "კასოგ"-ებს ეძახდნენ. აშკარად ჩანს მისი ქართული "ქაშაგი"-დან წარმოშობა, რაც ნიშნავს ტყვეს (საბა).

აკ აღინიშნება მეცნიერთა სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება უძველეს წყაროებში მოხსენებულ ტერმინთა აზრობრივ მნიშვნელობათა გაშიფურისას რომელნიც საგოორგიანოს რეალობას ასახავენ, მაგრამ მოხუცთა მხარის ნაწერილნი არიან ლათინური შრიფტით. საქმე ის არის, რომ ისტორიულ ფასეულობათა აღსადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ამ ტერმინთა ნამდვილი ელერადობით მოხმენა ანუ საკუთარი ენით და მხოლოდ ამის შემდეგ, აზრობრივნი მნიშვნელობის გაგება. ამ თანმიმდევრობის ნებისმიერი დარღვევისას გამოუსწორებელი სუბიექტური "აკადემიური" გაუგებრობები წარმოიქმნება, რომელთაც ათწლეულობით საკუთარი ისტორიის შებიღწვისაკენ მივყავართ. ნათელ მაგალითად ქრისტიანული პერიოდის შავი ზღვისპირეთის მოსახლეობის - კერკეტა (*Cereti*) იდენტიფიკაციაც გამოდგება შუა საუკუნეების (XV) ტერმინთან "ნერქეში"!

როგორც ცნობილია ლათინური აღფაბეტის ასო-ბგერა C შედეგი ექვსი სხვადასხვა ბგერის აღსანიშნავად გამოიყენება: კ, ც, ჩ, ს, ქ, და წ. ამ ბგერათა მონაცვლეობას საკვლევი სიტყვის მიმართ, ხუთ სხვადასხვა სუფსართავ სახელთა მნიშვნელობასთან მივყავართ! კერკეტი ანუ მაგარი, ცერცეტი, ნერნეტი, ქერქეტი და წერწეტი. არსებით სახელში სიტყვა "ქერქი" თავისი ფუძის როგორც ხმოვანებით, ასევე აზრობრივად, კერკეტთა დაცვით სისტემისადმი მიკუთვნებას ეხმაურება, როგორც ეს სულხან საბა ორბელიანს აქვს განმარტებული, "კერკეტონი-დამის დარაჯი"!

2. ტერმინი "კენიოსი" ანუ "ინიოსი", ანტიკური წყაროებით, ტერმინ "კერკეტის" პარალელურად იკვეთება, ოღონდ უფრო ახლო რადიუსებში კოლხეთის ცენტრიდან. ჩრდილო-დასავლეთ ზღვისპირეთში იგი, დღევანდელი მდ. ბზიფის რეგიონს მოიცავს (ეს ის ადგილია, სადაც შემდგომ მას ახალი სახელი, "აბაზგები" შეცვლის). სამხრეთ-დასავლეთით, კი რისე-გონიოს მონაკვეთშია მითითებული, "კერკეტების" აღმოსავლეთით. ვინაიდან ტერმინი "ინიოსი" ორივე მიმართულებით ვრცელდება, ანალოგიური ლოგიკით, არც ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეთნონიმად. ქართული სიტყვიერებით, ამ ტერმინის გამოყენება, აშკარად, კენის, პუნეს ანუ ცხენის მნიშვნელობას უკავშირდება. თუმცა, აქვე მინდა დაეაფიქსირო, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ამ ტერმინოლოგიურ სიუხვეში, კოლხ-

ეთის მიმართ სიმეტრიულად ჩაღაგებულ იდენტური სახელებ-ის სპექტრიდან ისტორიკოსები, რატომღაც, მხოლოდ "ჰენიოხს" აღიქვამენ ფუნქციონალურ ტერმინად და მეეტლევებად "ნათ-ლავენ". არადა, იმავე წყაროებს თუ დაუფურებთ, ეს, ე.წ. "მეტლები" თავისი ოცადგილიანი მრგვალი ნავეებით - "კამა-რებით" (!!!) "ექსინოს პონტოს" რისხვას წარმოადგენდნენ და თვით მეკობრეებსაც შიშის ზარს სცემდნენ. ტერმინ "კერკერ-თან" ანალოგიით, ინიოხების საცხოვრისი(ც) ემთხვევა კოლხ-ეთში შემოსასვლელ ზღვისპირა სტრატეგიულ დერეფნებს! ნრდილო-დასავლეთით კი "ჰენიოხები" ერთდროულად ფლობდ-ნენ კავკასის გადმოსასვლელებს. რაც შეეხება მის ეტიმოლო-გიას, იგი, კვლავ, ყოველგვარი ბგერათმონაცვლების გარეშე, იშიფრება მივიწყებული ქართული ლექსიკური ფონდით და შინაარსობრივად თანაბრად უკავშირდება როგორც მცველის ფუნქციას, ასევე ცხენთან ურთიერთობის მომენტს. "ინიოხი" რაინდი. "ენიოხი" ანუ "რაინდი", რომელმან ცხენი კეთილად გაწვართოს ("ლექსიკონი ქართული", სულხან-საბა).

3. "სანიგები" ანუ "სანები", (მისი სრული შესატყვისებია ზანები ან ცანები) ასევე პარალელურად არიან მოხსნიებულნი წყაროებში ორივე მიმართულებით და ტერიტორიულად ან ემთხვევიან ჰენიოხების საცხოვრისებს ან ოდნავ ინაცვლებენ აღმოსავლეთით საკუთრივ კოლხეთისაკენ (ნრდილოეთ რეგიონ-ში მას შემდგომ შეცვლის ახალი სახელი "აფშილები"). ზანი რომ კოლხის სრული სინონიმია, ამის მტკიცება, ვფიქრობ, აღარ დამჭირდება. იგი ერთადერთი ეთნონიმია კოლხეთის მიმართ სიმეტრიულად გავრცელებულ სახელთა მთელ სპექტრ-ში. დასაფიქსირებელია მხოლოდ ის ფაქტი, რომ "სანი" ეს კოლხური აღმინისტრაციული დამორჩილებიდან თავისუფალი, პერიფერიული, იგივე კოლხის აღმნიშვნელი ტერმინია, თავ-დაცვითი სისტემის პირველადი შრის. ყველაზე გარე ნაწილის ანუ ქერქის სახელი კი არის "კერკერტი"!

4. ტერმინი "ქორაკები" წარმოადგენს სამმაგ ქართულ გასაღებს "აფხაზოლოგიის ტერმინოლოგიური ლაბირინთისა". ტერმინ "ინიოხების" მსგავსად, მის თანადროულადა და, ყოველთვის პარალელურად, იგი იკვეთება როგორც ნრდილო-დასავლეთ, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით, საიდ-ანაც აშკარაა მისი სინონიმური, აზრობრივი ერთობა "ჰენიოხ-თან". აღსანიშნავია, რომ საგიორგიანოს სამხრეთის ზღუდის,

მესხეთის ანუ კარის მთების სახელი, პლინიუსის მიხედვით, არის: "*ountes Henochii aut Coraxici*"- კენიოხის ანუ ქორაკის მთები! როგორც ხედავთ, "ინიოხის" მნიშვნელობა იდენტურია "ქორაკთან", დროში თანადროულია და გამოყენებულია პარალელურად! ამას გარდა, "ქორაკის" მნიშვნელობა ადვილად ინმარტება ქართული სიტყვიერებით, როგორც "ა[ფშ]არა" (საბა), რაც, როგორც ცნობილია, აუღვირო ლაგამს ნიშნავს და "კენიოხის" მსგავსად იგივე ცხენოსნობის ატრიბუტს უკავშირდება! და ბოლოს, ჩვენს წინა სამეცნიერო ტერმინთა ძველი კომპლექტიდან, "ფას-ბას" ახალ ბგერათქომპლექსზე მოდიანად გადასვლის ლოგიკური, ხმოვან-ასრობრივი საწყისი!

კოლხეთის მიმართ სიმეტრიულად გაერკველებულ სახელთა ამ ქართულმა "ლინგვისტურმა გეოგრაფიამ" მხოლოდ ერთ ლოგიკურ დასკვნამდე შეიძლება მიგვიყვანოს, რომ "ქორაკისი", ნრდილო-დასავლეთ მიმართულებით, ფაქტიურად, იგივე სვანი "ინიოხია", ხოლო, თვით "ინიოხი" კი ზანთა ანუ თავისუფალ კოლხთა განსაკუთრებული კონტინგენცია, სამთო სასახლერო პირობებს მორგებული გასამხედროებული დასახლებები, ცხოვრების საკუთარი დამოუკიდებელი წესით.

ასეთია ამ ისტორიული ტერმინოლოგიური ლაბირინთიდან გამოსასვლელი კონცეფციის ასრი.

ძველი კოლხეთის შაეისღვისპირეთის განსახლებაში, ა.წ. II საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან მოდიანად იცვლება ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულთა და მოსახლეთა სახელდებების სურათი. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება თვით კოლხებს. მის ადგილს იკავებს ტერმინი "ლაზი". ირღვევა მასთან მიმდებარე ხალხთა სახელების სიმეტრიულობის პრინციპი. საერთოდ აღარ ჩანან "კერკეტები". დღევანდელი ტუაფსუდან აღმოსავლეთისაკენ მოიწევენ ჯიქები. "კენიოხების" საცხოვრისში გამოიყენება ტერმინი "აბასგი". სანიგების ნრდილო ადგილსამყოფელზე იყენებენ ტერმინ "აფსილს" (აფშილი). დაღის ხეობის მოსახლეთ "მისიმიანელები" ერქმევა და ა.შ.

საქმე ის არის, რომ ამ ახალ ტერმინოლოგიურ გარემოცვას არაერთი პრინციპული სიახლე არ შემოაქვს და ამან არ უნდა დაგვაბნიოს. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ენობრივი ფონეტიკური საწყისები ასეთი სახელცვლელისათვის, როგორც შემდგომ დაერწმუნდებით, ყოველთვის არსებობდა პარალე-

ლურად და აზრობრივად იგივე დანიშნულებას ემსახურებოდა სასახლდურო ტერმინოლოგიურ ფუნქციას, უფრო მეტიც, თუ წინა, შეიძლება ითქვას, სასახლდურო სახელთა კომპლექტი, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის ეპოქას მოიცავდა, მხოლოდ შაეიზღვისპირეთს ეხებოდა. ეს უკანასკნელი კი მთელი საგეორგიანოს სტრატეგიულ-ფონეტიკურ გეოგრაფიის რუკას გამოსახავს მის მთელ პერიმეტრზე!

ტერმინთა კომპლექტების ერთდროულად გამოყენების თვალნათლივ მაგალითს წარმოადგენს ციხე-ქალაქი აფსაროსი, იგივე აფსარუნტი (დღევანდელი გონიო), რომელიც ერთსახელა მდინარე აფსარის (ჭოროხი) სღვის შესართავთან ახლოს მდებარეობდა. მისი მარცხენა შენაკადის სახელი კი აკამფსისი იყო. იგი "ინოხების" განსახლების ბოლო წერტილია, სღვასა და ჭანეთის მთებს შორის უეწროეს ადგილზე იმყოფება და წარმოადგენს სამხრეთ სღვისპირეთიდან საკუთრივ კოლხეთში შემოსასვლელ კარს. ამ დერეფანს აბსარის გასასვლელი ერქვა.

ეს რეგიონალური ტერმინოლოგიური თაზისი იქცა აფხაზოლოგიის სამეცნიერო ისტორიოგრაფიისა და ლინგვისტიკის გამოუვალ ნიხად. კოლხეთის შაეიზღვისპირეთის, აუხსნელი ტერმინებით ისედაც გადატვირთულ ზონაში, ნანს კიდევ უფრო "უცხო" სიტყვები, რომელთა ფუძეებში აშკარად არის გამოკეტილი "ფას-ბას-ბაზ-ფაზ" ბგერათკომპლექსები, რომელთაც, თითქოს, არავითარი კავშირი არ უნდა გააჩნდეთ ადგილობრივ ენობრივ სამყაროსთან და იწყება საქართველოს ისტორიის საწეისების რეეზია ლინგვისტურ-ფონეტიკურ დონეზე. ქართული ისტორიული აზრი გაიყო ორ ნაწილად, რომელთა შორის შეუთანხმებლობა დღემდე გრძელდება.

ისტორიკოსთა პირველი თაობის შეცდომები

ქართველი ისტორიკოსების პირველი თაობა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ა. ნიქობაძე, ქ. ლომთათიძე, გ. მელიქიშვილი, ზ. ანნაბაძე და მათი მიმდევარნი, მ. იმაძე, ნ. ლომოური და სხ.) მივიდა დასკვნამდე, რომ: "არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები" (არნოლდ ნიქობაძე. "იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება", 1948 წ. II, გვ. 265).

უფრო მეტიც, ამ პრინციპულ შეცდომაზე დაყრდნობით, ქართველმა მეცნიერებმა უცხო სამყაროში დაიწყეს პოზიციის დამადასტურებელი და გამამაგრებელი ფაქტების ძებნა და "აღმოაჩინეს" კიდევ:

ა. "როგორც ცნობილია, ადიდური მოსახლეობის ოდითგანვე არსებობას საქართველოს მიწა-წყალზე ვარაუდობდა ივ. ჯაფარიძე. ამ მოსაზრების გამოთქმისას მკვლევარი ურადრებას ამახვილებდა იმ გეოგრაფიულ სახელებზე, რომელთა მეორე ნაწილსაც ფს, ფშ ელემენტი შეადგენს. ივ. ჯაფარიძის დაკვირვებით, ყველა შემოთმთქმანილი სახელები იმით არის საყურადღებო, რომ ამ მდინარის სახელებში ფს და ფშ ნაწილებს აფხაზურად ვერაერთარი განმარტება ვერ ეძებნება (!) სამაგიეროდ კი ფსე ნერქესულად წყალს ნიშნავს, ფსუხუო კი მდინარეს. თუმცა ფშ კომპლექსი თანამედროვე ნერქესულს წყლის სახელად რომ აქონია (!) ეს იქიდანაც (კანს, რომ ქვიშას, ღამს ნერქესულად ახლაც ფშახუა და ყაბარდოულად ფშახო ეწოდება" (მ. ინაძე. "ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები". "მაცნე", 1992, II).

ბ. "აღებულ ხანაში (ძვ.წ. II ს.) ნერქესული ეთნიკური ბინადრობა შეიძლება ვივარაუდოთ არა მხოლოდ სანაპიროს ნრდილო-დასავლეთით მდებარე სექტორში, არამედ მის სამხრეთ რეგიონებში, სადაც აგრეთვე (?) მეგრულ-ჭანური ტომები სახლობდნენ. ამ თვალსაზრისით, ურადრებას იქცევს ს. ჯანაშიას მიერ ნერქესულ ტოპონიმებად მიჩნეული "ყვა" ნაწილაკიანი სახელები, რომლებიც მკვლევარის დაკვირვებით თავმოყრილი აღმოჩნდა გურია-აჭარის ტერიტორიაზე. ამგვარი სტრუქტურული სახელებია აგიდაყვა, ბერეყვა, მდინარე და სოფელი აჭყვა (აქ, ჩემის აზრით, მეცნიერებს მხედველობიდან გამორნათ მალთა[ყვა], [ყვა]რელი და ა.შ. - გ.ე.). იმავე აღნაგობის სახელწოდებებია, მხოლოდ გართულებული (!) ქართული ადგილის "თა" სუფიქსით: ჯურეყეთი, ბობოყეთი, მურეყეთი და სხვა" (მ. ინაძის იგივე ნაშრომი, სადაც ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ "წერილობით ცნობებში ამგვარი ტოპონიმები დადასტურებული არ არის" (!).

ამ პოზიციებზე დაფუძნებული, აფხაზეთის საქართველოს მიმართ სურშექცევის თანმიმდევრული იდეოლოგია, რომელმაც სეპარატიზმთან წყენი საკუთარი ხელით მიგვიყვანა. ამ პოზიციის გამოყენებით ხდებოდა და ხდება მისი მხარდაჭერა

ი. ეორონოვის, ა. ეორონოვის, ტურნიანინოვის, პიუტის თუ სხვათა მხრიდან.

მიუყვანილი მეცნიერული დასკვნების გამომსეურების შემდეგ, შეკითხვა ახლა მკითხველთან მეზადება: რას ვერნით არძინბას?

ინგოროყვას პოზიცოის გავგებრობა

ქართველ ისტორიკოსთა შემდგომი თაობა, პავლე ინგოროყვას შრომებზე დაყრდნობით (ა. ონიანი, ეპისკოპოსი ანანია, ბ. თაეაძე, აკ. მათიაშვილი, რ. ნხეიძე, თ. მიბზუანი, ბ. ჭყონია, დ. გოგოლაძე და სხვა), აფხაზეთის ისტორიული, კულტურული, ტოპონიმური და რელიგიური მონაცემების საფუძველზე დაპირისპირებულია ისტორიკოსების ძველ ბანაკთან. მათი პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე საკმოდ დამაჯერებლად გამოიყურება, მოკლებულია ძველი სკოლის მიერ ძირითად არგუმენტებად ნათვლილ მონაცემების საკუთარი პოზიციიდან არამც თუ ახსნას ან მის განეიტრალებას, არამედ ამის ცდასაც კი. მათი მტკიცებულობების მიმართულებას ერთი საერთო დედააზრისაკენ მიუყავართ: "ძველი" აფხაზი არის მოსხი, ხოლო აფსუად წოდებულნი არიან აფხაზეთში ნრდილოეთიდან XVII საუკუნეში გადმოსულნი. აფხაზი არ უდრის აფსარს (აფსუას)! ედგები რა, "აფსუათა პოზიციაზე", ლოგიკურად მეზადება კითხვა ახალი თაობის ისტორიკოსებთან: რა ეუყოთ "ფს"- "ბს" ბგერათკომპლექსიდან აღმოადმოცენებულ შავიზღვისპირეთის უძველეს ტერმინოლოგიურ ოაზისებს? რა ეუყოთ "ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამ ფრაზას: "ბედსა და სევსა ზედა ღაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა იტარგმნა აფსართა ენითა", თამარ მეფის ეაჟის დაბადებას მიძღვნილ [ლაშქრობას ქართული მხედრონისას? რა ეუყოთ კოლხეთის უფლისწულის, მედეას ძმის სახელს, აფსირტეს, ბერძნები ხომ ციხე-ქალაქ აფსაროსის სახელდებას მასთან ეაკშირში ვარაუდობენ? სად გადაემალთ ტრაქეზუნტთან მითითებული, ინგოროყვას მიერაც "ნერქესად" აღიარებული "კერკეტები"? ეს "ისტორიულ-ალთრუისტული" მომენტი ხომ ბოლომდე აუფასურებს მისიეე ფუნდამენტალურ კვლევებს აფხაზეთის ტოპონიმიკაში? და ბოლოს, თუ ბგერათკომპლექსების დონეზედა დარნა "ბედი ქართლისა" გადასაწევეტი, რა ეუყოთ მითოლოგიურ ფაზისს ანუ ფასისს??

როგორც ხედავთ, ისტორიული ტერმინოლოგიურ-ფონეტიკური დაბირინთის წრე ბოლომდეა შეკრული. მეცნიერების ორივე მიმართულება, სხვადასხვა გზით, ამტკიცებს აფხართა მიმართ განკერძოებულობას! თავად აფხარნი ("აფხაზნი") არ სთვლიან თავს ადიღელებად და წყენსავით უწოდებენ მათ "აედიღუ"-ს ან "აზიხუ"-ს (!!). არსებობს კი აქედან გამოსავალი?

არსებობს, თუ კიდევ ერთხელ ვენდობით ქართული სიტყვიერების ისტორიულ მახსოვრობას, მის ბგერათსიმბოლოკის განსაკუთრებულ სიმყარეს და მის ბა'ხა'ხე შევეცდებით, წყენთვის საინტერესო, "ფას-ბას" ფუძეების მნიშვნელობების ახრობრივ გაშიფრვასაც.

საიდან დაეთვალათ ქართული სიტყვიერების
მახსოვრობა?

მოდით, საკუთარი ენის მახსოვრობის სიღრმეშიც შევიხედოთ.

ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის დამაკავშირებელ სრუტეების სამხედრო კონტროლს უპირატესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯერ კიდევ ისტორიული ძველი მსოფლიოს მოწყობის დროსაც, ვინაიდან შავ ზღვაზე ანუ "ზღვათა დედაზე", როგორადაც მას ბერძენი თვლიდნენ, გაბატონება ნიშნავდა უმნიშვნელოვანესი საწყლო სავაჭრო გზების ფლობას.

როგორც ცნობილია, ელინური სამყაროს მიერ შავი ზღვის სანაპიროთა კოლონიზაციის დაწყებას აკუთვნებენ ძვ. წ. VIII საუკუნეს. მანამდე კი ელინების პრაქტიკულ საზრუნავს წარმოადგენდა ეგეოსის ზღვის არქიპელაგის ათვისება, პელაგზური კულტურის ნაშთებისაგან და მის მახსოვრობიდან გაწმენდა, ფეხის მოკიდება წინა აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რომელიც პელაზგთა მატერიკული საყრდენი იყო. ამ მიმართულებით არგონავტების ლაშქრობა მხოლოდ წარმატებით სადაზღვევრო სამხედრო გამოხდომად შეიძლება ჩაითვალოს. მას უნდა მოჰყოლოდა ხანგრძლივი სტრატეგიული კომპანია შავი ზღვისაკენ გზის საბოლოოდ გასახსნელებად, რომლის ფაქტიურ მფლობელებად, მაშინ, კაბადოკიის პელაზგური ტომები გვევლინებოდნენ. ამიტომაც ეწოდებოდა მას "კონტოს ზღვა". აღმოსავლეთის მიმართულებით მომძლავრებული ბერძნული ექსპანსიის გზაზე გადაულახავ ზღუდედ იყო აღმართული დასაღუპად განწირული ქალაქი ტროა, პელაზგთა უკანასკნე-

ლი ბასტიონი. იგი მდებარეობდა წინა აზიის უაღრესად სტრატეგულ პუნქტში, ბოსფორის სრუტეში სამხრეთიდან შესასვლელთან (!). ტროას ტრაგედიის პომპროსისეული წარმოდგენა, როგორც მშვენიერი ელენეს მიზეზით ატეხილი ომისა, რეალობის წარმოდგენის ისეთივე გულუბრყვილო სცენარია, როგორც იაზონის ფანტასტიკური ბატალიები კოლხიდისაკენ მიმავალ საწყლო გზაზე. ყოველივე ეს ზემოთაღონებით გაიაზრა პენრიხ შლიმანმა და მიწასთან გასწორებული ტროას ნაშთები აღმოაჩინა. ტროა, როგორც ქალაქი, აღიგაჟა, რადგან, იმ დროიდან მოყოლებული ხმელთაშუა და შავი ზღვების დამაკავშირებელი გასასვლელის კონტროლი უკვე ჩრდილოეთის მხრიდან, დარდანელიდან უნდა განხორციელებულიყო!

"ეექსინოს პონტო" - ასე გადაარქვეს ელინებმა ზღვას სახელი, რაც ნიშნავს სტუმართმოყვარე პონტოს, რომელსაც მანამდე "აქსინოს პონტოდ" - არასტუმართმოყვარედ სთვლიდნენ. და დაიწყო შავი ზღვისპირეთის ელინიზაციის ხანგრძლივი პროცესი.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით, თუ შლიმანმა მითოლოგია ისტორიად გეიქცია, ქართულმა ენამ იმ ეპოქის, მოვლენებისა და მათდამი განწყობის თანადროული, სამახსოვრო ერთი პატარა ფრაგმენტი შემოგვინახა. ეს არის ნეენთვის, ახლა ასე უცხო, და განყენებულად სახმარი სიტყვა - ატროუბა! ანუ, აზრობრივად, როგორც დასაღუჟად განწირულის, ბედისწერული გარდაუქვლობით მოსიღის ქმედება.

ყოველმა გიორგიანმა და არაგიორგიანმა იცის, რომ ტოპონიმი "ფაზისი" მდინარე რიონის სახელი იყო ოდესღაც. იქვე, ზღვის შესართავთან მდებარეობდა ქალაქი ფაზისიც. რიონის ხეობის მოსახლეებს კი ფასიანელებს უწოდებდნენ. გიორგიანთა უმრავლესობამ არ იცის, რომ იმავე სახელით, სხვადასხვა დროს, წყაროებში მოხსენებულია მდინარე ჭოროხიც და, ასევე, მდ. არაქსის მარცხენა შენაკადი (სავარაუდოა "კარის წყალი", ვინაიდან მასზე მდებარეობს კარი ანუ დღევანდელი ეარსი, რომელიც წარმოადგენს მესხეთის მთებიდან საქართველოში შემოსასვლელ უღელტეხილ "საქართუთანზე" მოხვედრის ერთადერთ წერტილს). როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მდინარეთ, სხვადასხვა დროს, ერქვათ ერთი და იგივე სახელი? ამ ფაქტიდან ერთადერთი ლოგიკური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ტერმინი "ფაზისი", აზრობრივად, არ უნდა

ჩაითვალოს ნეკულებრივ სამდინარო ჰიდრონიმად! სხვა რა დატვირთვა შეიძლება კიდევ ჰქონდეს მას?

ელნიური მასალები იძლევიან ამის გარკვევის საშუალებას:

1. ფლავიუს არიანე თავის "პერიპლუსში", აღწერს რა "შაეიზღვისპირეთს, გაკერით ეხება მდინარე ტანაისს (ქერნის სრუტე), როგორც ევროპისა და აზიის უკვე მაშინდელ გამყოფს, იქვე ვერ ეთანხმება ამ ფაქტს და დასადასტურებლად მოაყავს ესქილეს "განთავისუფლებული პრომეთე", სადაც პრომეთეს სანახავად მისული ტიტანები ამბობენ თუ რა დიდი ქვეყანა გაიარეს, "სადაც ორმაგი საზღვარია ევროპისა და აზიის მიწისა, დიდი ფაზისი".

"ფაზისს" აქ რომ საზღვრის მნიშვნელობა აქვს, ფაქტია, მაგრამ რატომ არის ის ორმაგი საზღვარი? ვფიქრობ იმიტომ, რომ რიონის სათავე გეოგრაფიულად წარმოადგენს კავკასის ქედის სუსტად შუაზე გამყოფ წერტილს. ამ წერტილს ჰქვია "ფაზისის მთა" ანუ გამყოფი მთა.

2. მდინარის სახელისა და საზღვრის შემთხვევით დამთხვევას რომ არ აქვს აქ ადგილი ამას თუთ გეორგაფი სტრაბონიც გვიდასტურებს: "ეინაიდან დიოსკურიადა მდებარეობს ისეთ ყურეში და მთელი ზღვის ყველაზე აღმოსავლეთი პუნქტი უკაეია, მას ვექსინის კუთხე ეწოდება და ცურვის ზღვარი. ანდაზური გამოთქმა "ფაზისზე სად გემთა ბოლო რბენაა" უნდა გაეიგოთ ისე, რომ იამბიკური ლექსის შემდგენელი, აქ მდინარეს და მასთან ერთსახელა ქალაქს კი არ გულისხმობს, არამედ კოლხეთის ნაწილს..." სტრაბონის ამ პირდაპირ განმარტებაში აშკარად ჩანს ტერმინ "ფაზისის" უკიდურეს მიჯნად ანუ ზღვრის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენების შემთხვევა გამდინარე წყლები და ქედები ყველაზე მოსახერხებელი გეოგრაფიული ნიშნულებია ტერიტორიალური დაყოფისათვის, იმიტომ, ტერმინმა "ფაზისი" აქ, გარკვეული დროით, შეიძინა საწყლო-სამდინარო გამმიჯნავის ანუ საზღვრის დატვირთვა!

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, ბერძნული გავლენით არის ეს ბგერათკომპლექსი ზღვრის გაგებით შემოსული ტოპონიმ-ჰიდრონიმებში, ქართულ საწყისზეა აღმოცენებული თუ მართლად მხოლოდ ადიღურ "ფსი"-წყალს უკავშირდება, როგორც ამას ვარაუდობენ სენი მუცნიერები?

მთავიძით ქართულ სიტყვიერებაში "ფას" ბგერათკომპლექსთან დაკავშირებულ სიტყვათა სიმრავლე და განესაზღვროთ მისი აზრობრივი კატეგორია:

ა. "ფასი-სახლაური" (სულხან-საბა) ანუ ღირებულების
"ხდურული ოდენობა.

ბ. "აფსკი" - სითხობრივ და გაზობრივ მდგომარეობათა შორის
"ხდვარი.

გ. "ფსკერი" - სითხობრივ და მეარ მდგომარეობათა შორის
"ხდვარი.

დ. "ფასკუნჯი" - ქართული ზღაპრების ქვესკნელთა გიგან-
ტი ფროთოსანი, გმირთა მცველი. თუ უნჯი ქართულად არის
განძი, საუნჯე, მაშინ ფასკუნჯის მნიშვნელობა არის განძის
მცველი.

ე. "ფასკი" საწყისი, ძირი.

ვფიქრობ, ეჭვგარეშე ღებბა "ფას"-ბას" ფუძეფორმანთა
"ზოგადქართული აზრობრივი მნიშვნელობა სასახლერო ინტერ-
პრეტაციით. აქედან კი, უაღრესად ღირებულები, გამოუვლენ
კანონზომიერებათა გახსნის შესაძლებლობები იქმნება. მათი
სიმრავლე და ლოგიკურობა კი ყოველნაირად გამოორიცხავს
შემთხვევითობას. უპირველესი ის არის, რომ სასახლერო ფენო-
მენტან შავიზღვისპირეთის ზონიდან ინაცვლებს ისტორიული
საგიორგიანოს მოელ პერიმეტრზე! იგი აგრეთვე შესამნევი
ხდება სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ გასასუ-
ლელებში თუ უღელტეხილებთან, არა მარტო "კავკასოს" მო-
ქმედების არეალში, არამედ საგიორგიანოს სხვა მნიშვნელო-
ვან შიგა წერტილებშიც. შესაბამისად, საშუალება მოგვევა
ახალი კუთხით შევხედოთ ამ ბგერათკომპლექსის მატარებელ
სახელების მნიშვნელობებს. გასაგები ხდება სხვადასხვა მდინ-
არეთა ერთი და იგივე სახელით აღნიშვნის პრინციპებიც, რასაც,
როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, ადგილი აქონდა არა მარ-
ტო დასაყლეთ საქართველოში და არა მარტო "ფაზისის"-ს
შემთხვევაში.

1. დავიწყეთ იქიდან, რომ შავიზღვისპირეთის "აფსაროსის"
ღიამეტრალურად საწინააღმდეგო გურგანის (კასპიის) "ხღვი-
სპირეთში თავს იხენს მისი აბსოლუტური მნიშვნელობით შე-
ნარუნებული შესატყვისი ტოპონიმი "აფშერონი", "კავკასოს"
სისტემის უკიდურესი აღმოსაყლეთი საყრდენი! ამ ტოპონიმთან
უშუალო კავშირში სრულიად კარგავს აზრს, ელინ ისტორი-
კოსების მიერ გაზიარებული ვარაუდი ციხე-ქალაქ "აფსარო-
სის" დაარსებისა მითოლოგიურ უფლისწულ აფსირტეს
სიკვდილთან ურთიერთკავშირში. პირიქით, თუ "აფსაროსი"

სახალღერო საგარნიზონო საყრდენია მდ. აფხარის შესართავთან, ხოლო აბსარნი მის უშუალო კონტინგენტს შეადგენენ და იცავენ "აბსარის გასახვლულს" პონტოსა და კოლხეთის სამეფოებს შორის, მაშინ კოლხი უფლისწული თავისი მდგომარეობით, მოვალეობით და ტრადიციით, ქვეყნის სახალღერო სამსახურის უფროსია ანუ "აფსირტია", (აკი, დაიდუპა კიდევ სახალღერთან მოვალეობის აღსრულებისას და იქვე დასაყლაკდა!) ისევე, როგორც აიეტი აიას მმართველს უნდა ნიშნავდეს. აფსირტე, რომ აიეტ მეფის ვაჟის სახელი არ იყო და ის მხოლოდ თანამდებობას ანუ აფხართა სპარსალარს აღნიშნავდა, დასტურდება არგონავტების მითების ერთ-ერთი ვერსიით: "აიეტმა შეირთო იგი (ჰეკატა) და ჰყავდა მისგან ორი ქალიშვილი - ცირცქა და მედეა და ერთი ვაჟი, სახელით ჰკალეა" - გადმოსცემს დიოდორი (*Латышев. Известия древних писателей*. IV, 45). სახელთა ერთნაირი სუფიქსირება "ეა" აძლიერებს ასეთში რწმუნებას.

II. კასპიის ზღვისპირეთში, მდ. თერგის (არაგვი) მიმდებარე გაღმა რეგიონში (თანამედროვე ეიზლარია!) მითითებულია "ABZOA"-თა დასახელება! (იხ. რუკა გარეკანზე.)

III. თუ წამოვეყვებით კავკასს აღმოსავლეთიდან და შემოვალთ "მეშვიდე ძმის, ლეკანის წილხევედრილში", მდ. "ავარიის ყოისუს" ზედა წელში, კავკასის უკიდურეს მისადგომებთან, შემორჩენილია ნაცნობი ხმოვანების ტოპონიმი "ბეშთა" (ბასთა), ტიპიური ქართული მიკუთვნებითი სუფიქსით "თა"...

IV. მთიანი თუშეთის ისტორიული მოსახლეობის მეცნიერულად ბუნდოვან საკითხს შეადგენენ წოვა თუშები, რომელთა თვითსახელია "ბაკბები" (!) ანუ ბასბები. როგორც ცნობილია, ისინი პირიქითა აღაზნების აუზის მკვიდრნი იყვნენ და ქართულ ენასთან პარალელურად სარგებლობენ "ბასბური" ენით, რომელიც მეტისმეტად ახლო დგას ინგუშურის ერთ-ერთ დიალექტთან, ღლიღურთან. მათი მივიწყებული ისტორია, ნემის აზრით, ტიპიური შემორჩენილი შემთხვევაა "კავკასოს" თავდაცვითი სისტემისა. მათი შემთხვევითი გადარჩენა კი დაკავშირებულია კავკასიის ომში, ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის მხარის დაკავებასთან. ისინი, 1830 წელს აიყარნენ ისტორიული საცხოვრისიდან და წამოსახლდნენ (დაბრუნდნენ!) კახეთს მდ. სტორის მიდამოებში. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ ტოპონიმთა ეტიმოლოგია "ვაინახურ ენას" რომ ექვემდებარება

სწორედ ბასბების არსებობის ფაქტით უნდა აიხსნას, მათი ისტორიული მნიშვნელობით, და არა ხალხთა გადასახლების ახალი თეორიების შეთხზვით! აქ სრული ანალოგიაა დას. საქართველოს შემთხვევასთან დღესაც აუხსნელ ანაქრონიზმად მიანინათ მეცნიერებს მაგალითად, გურიის რეგონში ტოპონიმ "ღვებზუს" არსებობა და კელაფ, და მერამდენედ, ადიღურ მომენტს უკავშირებენ, მაშინ როდესაც იგი მარტივად შეიძლება აიხსნას ქართულ ენაში სასახლერო მნიშვნელობის ბგერათკომპლექსების არსებობით! "სემო იმერეთსა და რაჭას შორის, სანხერეონის მონაკვეთის უმნიშვნელო ხამთო გადასახველელის მისადგომებთან არსებობს ტოპონიმი ფასქნარა"! როგორ აეხსნათ იგი? პრეისტორიულ ადიღთა ნაკვალევად ნავთვალთ ეს თუ შემთხვევითობას მივაწეროთ ასეთი ზუსტი გეოგრაფიულ-ასრობრივი და ბგერითი თანმხვევა?

V. "ფს-ფშ ბგერათკომპლექსს საერთო რომ არ აქვს პიდრონიმთან, "კაეკასის" სამი მწერეალის სახელითაც დასტურდება: {ფას}ის მთა, [ფშ]ში და ამე[ფს]თა.

VI. სვანეთის კაეკასის პირიქით, ყაბარდო-ბალყარეთში შემორჩენილია ისტორიული რეგიონალური ტოპონიმი ბასიანი (მესხეთის მთების პირიქითა ცნობილი ბასიანის სრული ანალოგიით და გეოგრაფიულად სიმეტრიულად) ანუ ბასთა საცხოვრისი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამ რეგიონში დაფიქსირებულია მოსახლეობის ნაწილი, რომელთაც აქვთ მახსოვრობა სვანური წარმომავლობისა გეართა ფუძეების სრული მსგავსებით სვანურთან, ოღონდ რუსულ "ოვის" სუფიქსებით. რასაკვირველია, ისინი უნდა წამოადგენდნენ "კაეკასოს" თავდაცვითი სისტემის ნაშთებს. მიმანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები ქართველებს დღესაც "ებზე"-თ, ხოლო სვანებს "ტაუებზე"-ს სახელით ანუ მთიელ ქართველად მოიხსენიებენ. (იხ. *Волкова, "Этнонимы и племенные названия Северного Кавказа"* 1973. გვ. 178). ეს ცნობა მეტად მრავლისმთქმელია. ისიც, ბასბების ანალოგიით, მეტყველებს ბასიანელი სვანების აბაზობის ინსტიტუტისადმი მიკუთვნებაზე. აქვე აღსანიშნავის, რომ სვანური ღვთაების, დაღის, მეომარი შვილის სახელი არის "აფსაასტი"! აშკარად საქმე გვაქვს კაეკასის ხალხთა შორის შემორჩენილ მახსოვრობასთან, სრდილოეთის მხრიდან ქართველების აბაზებად სახელდების შესახებ! არსებობს კი, ასეთის დამადასტურებელი წყაროები?

რუსული ისტორიული წყაროების დასტური

პირიქითა კაკკასიაში მიმდინარე გიორგთანული პროცესები, როგორც ვრწმუნდებით, ვერ ეტეოდა ქართული სამეფო კარის მემკვიდრეთა ყურადღების წყდომის რადიუსში. სამაგიეროდ, წყნზე და ყველაზე უფრო ახლო ამ რეგიონებთან იდგა სლავური ეთნოსი, თავისი ძველი უამთაადმწერლობითი კულტურით, სადაც, პირველივე ნაწარმებიდან მოუღებულნი, ქართველთა ასეთი ტერმინით სახელდება ისეთივე წვეულებრივი მოვლენაა, როგორც, ვთქვათ, ქართველთა მოხსენიება სამხრეთის მიმართულებიდან ივერთა, იბერთა თუ გურჯების სახელით! მეტიც, ერთ-ერთი რუსული ხელნაწერი, "*Русская толковная поля*", რუსებს უნმარტავს, რომ "*Аверы иже суть Обезы*" ანუ ივერიელები ეს იგივე აბაზები არიანო! (*А. Шахматов. "Повесть временных лет и ее источники". Труды ОДРЛ, т. IV, 1940, გვ. 75*). XI ს. რუსული ხელნაწერის, "*Летопись по Ипатьскому списку*"-დან (*СПб, 1871 წ. გვ. 479*) კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან, სადაც რუსი უამთაადმწერელი ნესტორი (პენსორის ღაერიდან) გვიყვება თუ როგორ გაიქცა ყივნაღთა მთავარი, "*Отрок*"-ი, უღადიმერ მონომახის ღვენას "*в обезы за железные ворота*". ყივნაღთა უფლისწულის ობქსებთან ანუ ქართველებთან გაქცევა რკინის კარის (ღარუბანდი) მიღმა დასტურდება ქართული ქრონიკით: "და ამით თანა უადვილეს იყენენ მოსვლად მახლობლობითა(ცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ (მრავაღთა წელსა(ცა მიერ) მოყევანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ ღედოფალი შვილი ყივნაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძის... რუსულ წყაროებში საქართველო იწერებოდა როგორც "*Обезы*".

როგორც ირკვევა, "კაკკასოს" თავდაცვით სისტემაში, ტერმინი "აბასა" ქედის მთელ სიგრძეზეა დაფიქსირებული და, ასევე როგორც ტერმინთა წინა კომპლექტის შემთხვევაში, არ წარმოადგენს ეთნონიმს. წრდილო შავიზღვისპირეთში იგი გამოიწინდა პლინიუსისა და არიანეს შორის პერიოდში "აბასგის" ხმოვანებით და თანდათან შექნაცვლა ტერმინი "ინიოხს", ისევე, როგორც ტერმინი "ქორაკი" შეცვალა "მისიმბიანელმა", "აფსილმა", "აფსილმა" და მოგვიანებით აფშარმა, აფსარმა, აფსუამ და ა.შ. ქრონოლოგიურ სიზუსტეს აქ უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს! "ბას-ფას" ფუძეებზე შესაბამის ხმოვანებას იძენდენ გამდინარე წყაღნიც, როგორც გეოგრაფიულად საუკეთესო გამმიჯნაყი ნიშნულები, ვთქვათ მღ. "ბზიფი" ან "ფსირცხა" ანუ აფსართ ციხე,

ისტორიული ანაკოფიის, ამ მიუკაღი სიმაგრის, შემორჩენილი სახელის ნაშთი.

VI. სვანურ ბასიანის დასავლეთ გაგრძელებაზე, მდინარე ეუბანის შემდეგ, იწებოდა აფხაზური თავდაცვითი ზონა, რომელიც მოიცავდა მდინარეთა: ხელენუკების, ლაბებისა, ურუპისა და ბელაიას ხეობების აუზებს, სადაც ძირითადად განსახლებულნი იყვნენ აბაზები, იგივე ფუნქციონალური დანიშნულებით, როგორც ეველგან, საქართველოს სტრატეგიულ გასასვლელებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი მეთვალყურეობდნენ "დარინის გზას". ავადხარასთან გადმოსასვლელი უღელტეხილის სახელია "სანჭარა", რაც ნიშნავს სანებში, ჭანებში გასასვლელს. ამ მიდამოებში მრავლად გვხვდება, მეცნიერებისათვის დღემდე გაურკვეველი დანიშნულების, ძველი აფხაზური ე.წ. "აცანგუარები", ალპიურ ზონაში ქვისგან ნაშენი, მცირე კარიანი, დაბალი ნაგებობების კომპლექსები. უინაიდან "გუარა" აფხართა ერთ არის ზღუდე, მთლიანობაში იგი უნდა აღნიშნავდეს სანების ზღუდეს, რაც, რასაკვირველია, სრულ შესაბამისობაშია უღელტეხილის დასახელებასთან და, ერთდროულად, დანიშნულებასთან. ამავე მნიშვნელობისაა მთელ საქართველოში მიმოხეული ანალოგები: აცანა, ცანა, საზანო, ზანავი, ალაზანი და სხვა.

რომელი წარმომავლობის ხალხი იყო დაკავებული აბაზობითა თუ აფხარობით პირიქით თუ პირაქით კავკასზე ნათლად ნანს იგივე რუსული ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მონაცემებით.

ა. *"Многие из них (прежде всего абазины-шкарауа) до сих пор сохранили представление о своей прародине, находящейся около Абхазии или даже в самой Абхазии. Неоднократно в Карачаево-Черкесии приходилось слышать мнение, что шкарауа (უნდა იყოს შხარაუა ანუ მთიელი - გ.ე.) переселенцы из Абхазии"* (Волкова, *iqve. gv. 72*).

ბ. *"Абазинцы, малочисленное племя, в сущности те же абхазцы, которые покинули родину вследствие внутренних раздоров, ссор и кровомщений и перевалившись через Кавказский хребет, поселились среди закубанских черкесов. От коренных Абхазцев они отличались более суровой воинственностью и чистотою нравов"* (Каспари. *"Покоренный Кавказ"*. С-Петербург. 1904, გვ. 126). შემდეგ კას-

პარი წვრილმან დეტალებში აღწერს ადიღელებსა და აბხაზ-აფხარებს შორის განსხვავებულ ნაცმულობას.

გ. *"Антропологические данные, следовательно, как-будто свидетельствуют об исторических связях абхазцев в большей мере с грузинским этническим миром, чем адыгейским. Вхождение абхазцев в состав народов адыгейской языковой семьи осуществлялось, по-видимому, сравнительно позднее и во всяком случае представляет собой вторичное явление в их этнической истории"* (В.Л. Алексеев. *"Происхождение народов Кавказа"*. М., 1947, გვ. 133). ალექსეევი აქ. რასაკვირველია, აფხაზებში აფხუებს გულისხმობს.

დ. უკვლახე საინტერესო ამ მონაცემებს შორის არის აფხართა ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და პოეზიის მამამთავრის, დიმიტრი გულიას შეხედულებები 1925 წლის მისივე წიგნიდან *"История Абхазии"*:

"Повторяем еще раз, что все это дает нам право думать, что гениохи (предки абасгов, абхазов) суть те же колхи. Видеть в гениохов новый особый народ колхов нет смысла... единственный вывод - тот, что в источниках меняется лишь название и старое прозвище гениохов уступает место новому (настоящему) имени абасги, каковое и появляется в дальнейших источниках." (გვ. 52). მართალია, გულია ვერ შიფრავს ტერმინთა ეტიმოლოგიებს, მაგრამ ის საკმაოდ ახლო მდის ზოგად ჭეშმარიტებასთან, რომ ჰენიოხი = აბას-გი = აფსა-რი და = კოლხს!

ენახით, შემორჩა თუ არა ტოპონიმურად "კაეკასოს" სისტემის ანარეკლები პირიქითეთს?

ჟ. *К. Меретуков. "Адыгейский топонимический словарь"*. М. 1990. სტავროპოლის მხარეში: "სონნოს" სვანების ქელი (გვ. 180), "ქურჯიფს" - ქართველის წყალი ან "ქურჯიე" - დიდი ქართველი (გვ. 85), "ქურჯ ნიბ" ქართველთა ველი (გვ. 96), "სონე იმეუ" - სვანების ტყე (გვ. 180), "მერენეთე კუშხახუ" იმერლების საძოვარი" (გვ. 136), "მერეთუევა" - სოფელი მდ. ბელაიაზე და სხვა. თავად კასიმ მერეთუკოვი წარმომავლობით აბაზაა, მერეთუევა ანუ იმერლიშიელი!

ყოველივე ამის გააზრების შემდეგ, ამ საკითხში პოლარიზებულ ქართულ საზოგადოებრივ აზრს მინდა დაეუხეა ასეთი შეკითხვა: პირიქითეთიდან გადმოვიდნენ აბაზები აფხაზეთში თუ პირაქითიდან არიან ჩანერგილნი მდ. ყუბანის აუზში?

მაშ, ვინ შეითხზა "აფხაზურ-ადიღური ტომის ლეგენდა? კავკასიოლოგმა ლინგვისტიკებმა! ქართველი ისტორიკოსები, სამწუხაროდ, მას დღემდე იყენებენ.

VII. "ფას-ბას" ბგერათკომპლექსების გაერ(კვლების) ზოგად სტრატეგიულ გეოგრაფიაში მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს საგიორგიანოს სამხრეთ-დასავლეთი კიდე. მესხეთის მთები. მის გადაღმა, არაქს-ეუფრატის სათავეებიდან ორგანიზებული იყო ცნობილი დაცვითი სისტემა "[ბას]-იანი" ანუ ბასთა სადგომისი. აქ იყო კარნე ქალაქი, ტაოში შემოსასყელელის, "გურჯი ბოლახის" (საქართველოს გზა) საწყისი, რომელსაც იმიერტაოელი "ბასები" აკონტროლებდნენ. თურქულად დღესაც მას "ფასინღერი" ანუ ფასიანთა ველი ეწოდება!

VIII. მესხეთის ქედი აღმოსავლეთით გადადის ე.წ. კარის მთებში, რომლის პირიქით, მდ. არაქსის მარცხენა შენაკად "კარის წყალსუ" განლაგებული იყო ციხე-ქალაქი კარი (ახლანდელი ყარსი), რომელიც აკონტროლებდა ზემო ქართლში გადმოსასყელულ უღელტეხილ "საქართუთანს" ანუ საქართველოს ზღუდეს. "საქართუთანიდან" იხსნება გზა "სუქარის" ანუ ზედა კარის უღელტეხილისაკენ, რომელიც მეორადი ზღუდის ფუნქციას ასრულებდა და მოითხოვდა ცალკე დაცვით სისტემას. "სუქარის" ძირში განთავსებული ა[ბას]თ უბანიც (და არა აბაზ-თუმანი?) ამ მოვალეობას ასრულებდა!

IX. საგიორგიანოს გულში ყველაზე მნიშვნელოვან თავდაცვით როლს ასრულებდა არაგვის ხეობა, მოელ თავის სიგრძესე თავისუფალი გასამხედროებული დასახლებებით, რომელიც ცოცხალ მაგალიტად არის შემორჩენილი "კავკასოს" თავდაცვითი სისტემიდან. აქ, როგორც იცით, ჯვრის უღელტეხილის ძირში შემორჩენილია დასახლება ტოპონიმ [ფას]ანაური ანუ ფასიანთა ხაცხოვრისი. მდ. არაგვის ვიწროების დასაწყისთან მდებარეებს დასახლება [ბა]სალეთი, რაც ასევე ბასთა ადგილსამყოფელსე მიგვითითებს. და ა.შ. მნიშვნელოვანია თავად მდინარე "არაგვის" სახელთან დაკავშირებული მოსაზრებები. უპირველეს ყოვლისა, ეურადლებას იქცევს ამ სახელის გაერ(კვლების) სიმრავლე (ოთხი არაგვი არსებობს, მათ შორის არის თერგიც), რაც, მსგავსად "ფაზისისა", გვაფიქრებინებს, რომ ის არ უნდა იყოს პიდრონიმი და მისი გეოგრაფიული მდებარეობით დაკავშირებულია კვლავ სასაზღვრო ტერმინოლოგიურ მნიშვნელობასთან. ამ საკითხის გარკვევისათვის, აუცილებელია, წინასწარ გავითვალისწინოთ

საქართველოსათვის ისეთი მნიშვნელოვანი და უპირველესი სახელების აზრობრივი მნიშვნელობა, როგორც არის "გიორგი". ერთადერთი, რაც ვიცით მის შესახებ ის არის, რომ ნიშნავს მიწათმოქმედს! (ცნობილია, რომ ქართული სახელი გიორგი არ უკავშირდება წმ. გიორგის სახელს და წარმართული, მთვარის კალენდრის ეპოქის მოსაველიანობის ღვთაების საკულტო რიტუალებში გამოყენებული სახე - თეთრი გიორგია.

ამ ორფუძიანი სახელის პირველი მარცვალი "გეო" თითქოს ბერძნულ საწყისზე მიგვითითებს, მიწაზე, მაგრამ არსებობს კოლხური, მიწასთან დაკავშირებული მიდგომებიც, მაგალითად, მეგრული სმნები გე-დგ, გე-ხე, გე-ფინ, გე-რე, გე-ნოსორ, აღნიშნავენ სხვადასხვა საგნების მიწაზე დგომას. სვანურად კი მიწა არის გი! სახელის ქართულ წარმომავლობაში უფრო ვრწმუნდებით, მისი მეორე ფუძის, "რგი"-ს მიწის ტექნოლოგიასთან უშუალო კავშირის გააზრების შემდეგ. ამაზე მიუთითებს სიტყვები: [რკ]კა, ნე[რკ]ი, მა[რკ]კელა, მა[რკ]ალი, მა[რკ]კეთი, ა[რკ]კეთა, სოფ. [რკ]ალი. მოსაველიანობის სიკეთიდან, სა[რკ]კებლიანობიდან მომდინარეობს კატეგორია სიტყვებისა: [რკ]კება, სა[რკ]ი, მა[რკ]ი, კა[რკ]ი, მო[რკ]კეა, თა[რკ]ი, [რკ]კალი, ქა[რკ]კეა, იგივე სა[რკ]კებელი, [რნ]ენა, სა[რნ]ო, გა[რჯ]ა, მა[რჯ]კენა, მა[რჯ]კე, გამა[რჯ]კება და სხვა. ამ სიტყვათა უარყოფითი მნიშვნელობებიც იგივე ფუძეფორმატზე ვალიბდება: უ[რკ]ი, კა[რკ]კეა, უ[რნ]ი. საქართველოს სახელებიც, "გეორგია", "ჯორჯია", "გურჯისტანი", "გრუსია", ამ საწყისიდან უნდა იყოს აღმოცენებული.

წყენს თემასთან უშუალო კავშირში, იგივე ბგერათკომპლექსი, იმ სიტყვათა კატეგორიაში ფიგურირებს, რომელნიც არასამიწათმოქმედო მიმართებაში არიან მიწის სხვა დანიშნულებით გამოყენებასთან. მაგალითად, როგორც სასახლერო ნიშნულების გატარების, ტერიტორიალური გამიჯვნის განხორციელების თუ შემოსახლერის არსის სიტყვიერად გამოხატულების ერთადერთი საშუალება! მაგალითად, ასეთებია: [რაგ]კა ანუ შეღობვა, მა[რკ]ილი, ნახე[რკ]კეა, ა[რაგ]კეა!

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ "არაგვად" წოდებულ გამდინარე წყალთა სახელი ისევე არ არის ჰიდრონიმი, როგორც ფასისი. იგი დაკავშირებულია ტერიტორიალურ შემოს[რაგ]კასთან. ჩრდილოეთიდან ქსნის ხეობას ანუ მაღრან დვალეთი-ყელის ტბის გადმოსაველს ახალგორისაკენ იცავს

ლა[რგ]ვისის ციხე. სუსტ ანალოგიასთან გვაქვს საქმე საქართველოს მესამე, მრავალწეაღრქმეულ სახელ "ალაზანთან", მიმართებაშიც (ოთხი ალაზანი არსებობს, ერთი საკუთრივ, ორი პირიქითა და მეოთხედ, ოდესღაც იწოდებოდა მდინარე ევფრატის სათავეები!). ტერმინ "სანის" მნიშვნელობას რომ აღარ შეეკხოთ, "ალა" ქართულად არის "გრძივად აღმართული" (სულხან საბა!). როგორც ხედავთ, სოგად კანონსომიერებასთან გვაქვს საქმე, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი ნაირსახეობაა ჩვენთვის დღეს მნიშვნელოვანი "ფას-ბას" ბგერათკომპლექსი.

ყოველივე ამის მახსოვრობა ქართული წყაროების დუმილის გამო ჩვენ დაკარგული გვაქვს, მაგრამ ის მკაცრი (გამონაკლისების გარეშე) ფონეტიკურ-გეოგრაფიული კანონსომიერება, რომელიც არსებობს "ფას-ბას" სტრატეგიულ ბგერათკომპლექსებთან დაკავშირებით და, ასევე, ქართული სიტყვიერებით სრული აზრობრივ-განმარტებითი შეთანადება მის მნიშვნელობასთან, სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

ბგერათკომპლექსი "ბას-ფას" არის ქართული სიტყვიერებიდან წარმომავალი ფუძეფორმატი, დაკავშირებულია ზღვარის აზრობრივ კატეგორიასთან და გამოიყენებოდა უმნიშვნელოვანეს, გეოგრაფიულად სტრატეგიული დერეფნებისა და უღელტეხილების დამკავ კართა მოსახლეობის აღმნიშვნელი სახელების ფორმირებისას. "კავკასოს" თავდაცვით სისტემაში, ისტორიული საგიორგიანოს მთლიან პერიმეტრზე და, ასევე, შიგა სარეზერვო უღელტეხილთა მისადგომებთან. ამიტომ არ შეიძლება ამ ბგერათკომპლექსით წარმოებული ტერმინების ეთნონიმებთან გაიგივება!

შესაბამისად, "აფსარობა" თუ "აბაზობა" საგიორგიანოს უქველესი სოციალური მოვლენაა და არა ეთნიკური ერთობა. საყოველთაოდ ცნობილი, თვითორგანიზებადი თავდაცვითი სისტემა "კაზაკობა" "კავკასოს" სისტემის ანალოგიით, სლავურ სამყაროში მხოლოდ მე-15 საუკუნეში ფლობდნენ შავ ზღვას, თავიანთ სახელებს არქმევდნენ ყველას და ყველაფერს, ყირიმელი ხანები კი გამუდმებულ თავდასხმებს ანხორციელებდნენ რუსულ სტანიცებზე. მრავალმა არ იცის, რომ: *"Казак" - тюркское слово, означает вольный человек. ("Словарь русского языка". 1983).* ამ მიმართულებით, საინტერესოა მოვიძიოთ, ხომ არ შემორჩა გიორგიანულ სინამდვილესაც თურქულენოვანი ხმოვანების აზრობრივი დატვირთვით? რასაკვირველია, შემორჩა. უპირველესად,

ეს არის შირაქის მკველთა თავისუფალი თემის სახელი "ქიხ-იყი", საკუთარი (ვიხე-სიმაგროთ სიღნაღით, რაც, სიტყვა-სიტყვით, თურქულად თავმესაფარს ნიშნავს! უფრო მნიშვნელოვნად მიმანია აბაზების თურქული სახელწოდება "ალთიქესეკ" (*"Алтыкезек", Кудрявцев, "Сборник материалов по истории Абхазии"* 1921, გვ. 13), ხადაც "ალთი" ანუ ექესი, რაოდენობრივად შეესაბამება აბაზთა ექესთემიან დასახლებას ჩრდილოეთის მდინარეთა ხეობებში. "ქესეკ"-ის მნიშვნელობა თავისთავად ნათელია და ერთხელ კიდევ მიგვითითებს საგიორგიანოს სასაზღვრო დასახლებათა სახელების ისტორიულ მრავალფეროვნებაზე!

ეფიქრობ, მკითხველთათვის თანდათან იკვეთება განსხვავება ტერმინებს "აფხაზსა" და "აფსუას" შორის. საწყისიდანვე არასწორი მიმართულებებია ტერმინ "აბასგიდან" თუ "მოსხიდან" "აფხაზის" ფონეტიკურად მიღების ფორმულები, რომელნიც ახასიათებდა "აფხაზოლოგიის" ორივე ქართულ ფრთას (ჯაე-ახიშვილისას თუ ინგოროსეას) და მიმანია, არა მარტო უსაფუძვლო ლინგვისტურ თამაშებად (ტიპისა, *"как делать из мухи слона"*), არამედ სამეცნიერო მიმდინარეობათა ნიხში მოქცევის მიზეზად!

"აფხაზი" დამოკიდებული ქართული სიტყვაა და ნიშნავს ამ რეგიონის მაცხოვრებელ გიორგიანს. ჩემის აზრით, მისი ეტიმოლოგია ეგრისის სამყაროს ენობრივ სინამდვილიდან უნდა მომდინარეობდეს და მეგრულ "აფხა"-ბეჭს უკავშირდებოდეს. მეგრულად "აფხაზი" არის "აფხაზა".

ტერმინი "აფსუა", რომლის ეტიმოლოგია აქამდე ვარკვეული არ იყო, მოყვანილი გამოკვლევების საფუძველზე არც ეთნონიმია და არც თვითსახელი. იგი მომდინარეობს ქართული ლიტერატურული და ისტორიული ფორმიდან "აფსარი" და წარმოადგენს მის კუთხურ თუ კინობით ფორმას, შთამომავლობითობის აღმნიშვნელ მეგრულ "სქუა"-დან გამომდინარე შეკვეცილი სუფიქსირებით "უა". აფს-(არიშ სქ)-უა ანუ "აფსუა". მათი წარმომავლობა არის მთიელი ზანური, ხოლო ფუნქცია განსაკუთრებული, სასაზღვრო, არსებობის დამოუკიდებელი ცხოვრების წესითა და ტრადიციებით იმ უხსოვრი დროიდან, საიდანაც თვით კოლხეთი მიმდინარეობს! თუ შევეცდებით საერთო ფორმულის გამოყვანას ან რეგიონისათვის, იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: "ყველა აფსარი (აფსუა) არის აფხაზი, მაგრამ ყველა აფხაზი არ არის აფსუა"!

ა) ძნელია უკახუხო შეკითხვას, ნაუხედავთ თუ არა ქართველ მეცნიერ "აფხაზოლოგებს" უფლისწულ ეახუშტის "ქართლის ცხოვრებაში", (ტ. IV, 1973), სადაც 784 გვ-ზე შემდეგი ცნობაა მოყვანილი: "არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი". აქედან ხომ ერთმნიშვნელოვნად მიმდინარეობს დასკვნა, რომ ტერმინები "აბასა" და "აბხაზი" აზრობრივად იდენტურია! რასაკვირველია, ლეონ II-ის ქუთაისის ტახტზე ასვლის შემდეგ, რითაც მან ტრიუმფალური ქვაკუთხედი ნადო ქვეყნის გაერთიანებისათვის და საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისკენ გახსნა გზა, ტერმინმა აფხაზეთი (აბაზგია), გარკვეული დროით მოკლი დასაყვლეთ საქართველოს მნიშვნელობა შეიძინა.

ბ) თამარ მეფის დროის ქრონიკა (XII ს.) იუწყება ტახტის ახალდაბადებულ მემკვიდრის სახელის, ლაშას აზრობრივი მნიშვნელობის შესახებ: "რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა" (ქ.ც. ტომი II, 1956, გვ. 53). ეს ცნობა, რომელიც ქართველ ისტორიკოსებში დაუფარავ კანიკურ შიშს ბადებს, სამეფო კარის წინაშე აფსართა განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობასა თუ სამხედრო დამსახურებაზე მეტყველებს მხოლოდ, რომლის გაერთიანებულ ლაშქრის მარჯვენა ფრთას იხინი წარმოადგენდნენ "ჯიქითურთ".

"აფსართა ენის" საკითხთან კავშირში, თავს მოვალედ ვთვლი სასოგადოებას ვამცნო მნიშვნელოვანი ფაქტი: აფსართა (ანუ აფსუათა) ენაზე ოსები იწოდებიან როგორც "აუაფსი"! თუ იმ გარემოებასაც გაეთვალისწინებთ, რომ "აუა" აფსართა ენით ნიშნავს კაცს, ხოლო ფსი სასაზღვრო სუფიქსია, მაშინ "აუაფსი" აზრობრივად ინმარტება როგორც "კაცი საზღვრისა" (მესაზღვრე!). როგორც ხედავთ, აფსართა ენამ შემოგუინახა და მოგვაგონა ისტორიული ფუნქცია ისტორიული ძურძუკებისა თუ დვალეებისა, რომელთა ენა სპეციალისტთა აზრით გამქრალად ითვლება. მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს! საქმე ის არის, რომ ნრდილოეთ ოსეთში დღესაც არსებობენ დასახლებანი, რომელთა შორის "დვალურმა ენამ" მონღოლთა შემოსვლიდან დღემდე შემოინახა არსებობა! განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თავად აღანები, ამ "განსაკუთრებულ ოსებს", რომელნიც მათთვის გაუგებარ ენაზე

საუბრობენ, "დგურებად" მოიხსენებენ ანუ მდგომარეთ! (იხ. სადგური, დგმური და სხვა.)

XVII საუკ. იტალიელი მისიონერის, დონ ქროსტოფორო დე კასტელის ("ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ", 1977) წინახატები, აფხაზეთში მისი მოღვაწეობის პერიოდში, "აბაზოზის" (აფსაროზის) ინსტიტუტის ფუნქციონირების დოკუმენტალურ ილუსტრირებას წარმოადგენს.

გ) "*Abaza e cerchieso*" ("აბაზები და ნერქეზები") ასე ეწოდება მისი ხელით გაკეთებულ წარწერაში აბაზებისა და ნერქეზების ბრძოლის ბატალურ სცენას! (ნახ. 236. იხ. გარეკანზე)

დ) "*obilis Abaza armatus*" ("მეიარაღებული კეთილშობილი აბაზა"). აქ ფოტოგრაფიული სიხუსტით არის გამოსახული თავად სუენი გამოკვლეების ობიექტი- "აბაზა"! (ნახ. 224.)

"აბაზგები" ხომ ჯერ კიდევ ა.წ. II საუკუნეში არიან ისტორიოგრაფიულად აფხაზეთის მიწებში დადასტურებულნი რომის პროკურატორის, ფლავიუს არიანეს მიერ. ნუ ეცდებით აღმოაჩინოთ რა ეროვნების იყვნენ ისინი!

უფიქრობ, ზემოთ მოყვანილი მაგალითები საკუთარი სინამდვილიდან სრულიად საკმარისია, რომ ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს "სამეცნიერო" თუ საღონურ-ინტელექტუალური კამათი "აბაზა" და "აფხაზ" ტერმინთა შორის უტოლობის ნიშნის არსებობის თემაზე! იქნებ ახლა მაინც დამშვიდდეთ ქართველებო, ისტორიული ტერმინები აბაზა=აბაზა=აფსარი=აფხაზი ეთნონიმი არ გახლავთ!

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უმარტივესი მეცნიერული გასაღები

„უერთოდ არ იხარჯების
წყენის აფხაზის ისარი“
ხალხური

საკითხის დასმა

ხშირად ისმის კითხვა, რა მოხდა აფხაზეთში? მე ვიტყვოდი: დაინგრა ერთიანობის ისტორიული ცნობიერების შენობა. საბოლოოდ ასეთი აზროვნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წამოყალიბდა. რამ გამოიწვია ყოველივე ეს? ზოგადად, მეცნიერებამ, უფრო კონკრეტულად კი, ქართულმა „კავკასიურიბერიულმა“ ლინგვისტიკურმა სკოლამ, რომლის გამოკვლევებს ბოლომდე ენდო ისტორიკოსთა პირველი თაობა და აფხაზურ მისხს (ტომის ტომთაგანი, - საბა) სავიორგიანოსაკენ გზა გადაუკეტა. ასეთი წინააღმდეგობა მაშინ აღმოცენდა, როცა აფხაზური მისხსის ეთნიკური წარმომადგენლობის შესახებ მეცნიერული დაეა ენობ-რივი საწყისებიდან გამომდინარე დაიწყეს. იგი ახლაც გრძელდება და დამთავრების არაერთი პერსპექტივა არ ჩანს. ათწლეულობით მიმდინარეობს ადიღური „წყლის ნაყეა“, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით!

საქმე ის არის, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ხშირად გეხვდება მდინარეთა სახელები (ჰიდრონიმები), რომელნიც აზრობრივად გაუშიფრავ „ფს-ბზ-ფშ“ ბგერათკომპლექსებს შეიცავენ. მეცნიერებმა საკითხი ასე დააყენეს: ვისი ენის საფუძველზეც მიენიჭებოდა ამ ბგერათკომპლექსებს აზრობრივი მნიშვნელობა, ის ეთნოსი ჩათვლებოდა მეცნიერულად აფხაზეთის აბორიგენად!

როგორც ივ. ჯავახიშვილი-ჯანაშია-ნიქობაეა ამტკიცებდნენ, ადიღურ ენაში მოიპოვება ამ ბგერათკომპლექსების შესატყვისი მნიშვნელობა-ფსი ანუ წყალი! არც ქართულ და არც აფხარულ ენებში, (ეს დაიმახსოვრეთ! - გ.ე.) მათი აზრით, შესატყვისი არ არსებობს! ამრიგად, ეს საზად-სამი კომპლექსი გახდა ძირითადი საფუძველი ქართული მეცნიერების აფხაზოლოგიური აკადემიური მოდელისა: „არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ წინარეისტორიულ პერიოდში, მთელ დასავლეთ

საქართველოს ტერიტორიაზე, ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ ადიღური ტომები“(!).

აი, აქ შეუდგა „მეცნიერული წყალი“, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ქართველ-აფხაზთა ერთიანობის ისტორიულ ცნობიერებას!

მეორე საუკუნის უცხოური წყაროებიდან აფხა-ზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ მცხოვრებთა შორის ჩანან „აბაზგები“ და „აფსილები“. ამ სახელთა ხმოვანება ახლოა დღევანდელ „აფხაზთა“ თვითსახელ „აფსუა“-სთან და „აბაზა“-სთან, რომელთა მაწარმოებელი კომპლექსია „ფს-ბზ“. თუ რა მიმართებაშია მათთან მერვე საუკუნის ქართული ტერმინი „აფხაზი“, აფხაზოლოგიის დღევანდელი მთავარი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობს. აფსუთა („აფხაზთა“) შორის ეჭვს არ იწვევს საკუთარი თავი იცნონ ამ სახელებში! მათ პოზიციას ამაგრებს „ქართლის ცხოვრებაში“ დაფიქსირებულ „აფსართა ენის“ და, შესაბამისად, „აფსართა“ არსებობის ფაქტი! აქვე ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მდ. ჭოროხის სახელიც იყო „აფსართი“, იქვე, შესართავთან იყო ციხე-ქალაქი „აფსართისი“, ზღვასა და ჭანეთის ქედს შორის დერეფანს ერქვა „აფსართის გასასვლელი“, დაღის ხეობაში მდ. ჩხაღთის ზემო-წელში იყო დასახლება „აფსართას“ სახელით და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ისტორიული წყარო, არც ძველი, არც ახალი, მათ ეთნიკურ კუთვნილებაზე არაერთარ მინიშნებას არ იძლეოდა, ამ დარგში მომუშავე უკლებლივ ყველა მკვლევარმა ეს სახელები მაინც ეთნონიმებად გაითავისა(!). ასეთი დაშვების შემთხვევაში ხომ აუცილებლად რომელიმე კონკრეტული ეთნოსი უნდა ეგულისხმათ ან ქართული, ან ადიღური (წელის ადიღური სახელის გამო). პოდა, აფხაზოლოგი მეცნიერებიც ამ ნიშნის მიხედვით დაჯგუფდნენ. პირველთ ადიღურობის „აკადემიური“ ვერსია განავითარეს, მეორენი კი („პატრიოტ-მეცნიერები“) აბაზ-აფსართ (აფსუებს) ამ სახელთა მნიშვნელობის განმარტების გარეშე ეუბნებიან: „აბაზები“ და „აფსილები“ „ძირძველი ქართველები“ იყვნენ, თქვენ კი ახალი მოსულები ხართ“ (!). ქართველი ისტორიკოსები ამ დაპირისპირებას საკუთარ ხალხს საგანგებოდ უმაღავედნენ და მას პუბლიცისტური პრესა ადრე არასდროს შეხებია.

ვინაიდან აფხაზურ ენაშიც არ იძებნება მათი შესატყვისი განმარტება წელის ან მდინარის მნიშვნელობით, ამ შემთხ-

ეკვაში, თითქოს აფხაზიც არაფერ შუაში უნდა აღმოხენილიყო, მაგრამ, ვინაიდან „აფხა-რთა ენა“, ენათმეცნიერული კატეგორიებით, ე. წ. „აფხაზურ-ადილური ენების“ ჯგუფშია შეყვანილი (მიუხედავად ანთროპოლოგიური მეცნიერების დიამეტრალურად ხაწინააღმდეგო დასკვნებისა, რომლის მიხედვით აფხაზები ქართველურ ტიპს განეკუთვნებიან), მეცნიერთა ცნობიერებაში ავტომატურად შემოვიდა სრულიად უნიადაგო ტერმინი – „აფხაზურ-ადილური ტომები“, რაც, სენი გამოკვლევების საფუძველზე, ბუნებაში არ არსებობს! ეს ტერმინი „ქარის წისქვილივით“ ბრუნავს მას შემდეგ საზოგადოების ცნობიერებაში და „აფხაზა“ და „აბაზა“ ტერმინთა მიმართ პანიკური შიშით შეპერობილი „პატრიოტი“ ისტორიკოსები მას გააფრთხილეს და უშედეგოდ ებრძვიან! ასე და ამგვარად, პიდრო-ეთნო ლინგვისტური მოდელის შემოტანით შესანიშნავი „მეცნიერული“ საფუძველი წაეყარა სამომავლო ფონეტიკურ ეთნო-პოლიტიკას. აფხაზოლოგიის მდინარე განყრდა და დაჭაობდა, რომლიდან ამოსვლა შეუძლებელია თვით მოდელზე უარის თქმის გარეშე! მოგეხსენებათ, ენა, რომელზეც ისტორია არ იწერება, მით მოსარგებლე ხალხის წარმომავლობის შესახებ ვერავითარ პირდაპირ ცნობებს ვერ ტოვებს და ვერც სიღრმითი წარმოდგენა ექნება საკუთარი წარმომავლობის შესახებ. ამიტომ თავად „აფხაზებს“ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ამ საკითხზე. აფხართ ის იციან გადმოცემით, რომ მიეკუთვნებიან „აბაზა ხალხს“, არ არიან ადილები და არიან კოლხები!

ადილურ ტომთან მათი გაერთიანება „ისტორიული ჭეშმარიტების“ მაძიებელ ქართველ მეკვლევართა დამსახურებაა.

ისეთი შთაბეჭდილება რომ არ დარჩეს, თითქოს სრულიად უარყოფილი რუსეთის იდეოლოგიურ დივერსიას, მე მაინც ფორმულით ვამჯობინებ აზრის გამოთქმას: თეთრი რუსეთის მიერ განადგურებული აფხარნი („დამნაშავე ხალხი“) ქართული მეცნიერებით უარყოფილი სენი ღვიძლნი, წითელმა რუსეთმა შემოირიგა! ეჭვობენ, ხომ არ აქონდა მეცნიერებზე რაიმე ძალდატანებას ადგილი? სენი აზრით, ეს იყო მეცნიერული შეცდომა და არა იძულებითი მავნებლობა! თავად წარმოიდგინეთ: მდინარეთა კალაპოტების, მიმდებარე ზღვისპირა ციხე-ქალაქებისა და მის გარშემო ადგილობრივ მოსახლეთა სახელნი ერთი და იგივე „ფს-ფშ“ ბგერათკომპლექსებით ფორმირდება! როგორ უნდა გაერკვე ამ ლაბირინთში თუ ტერიტორიულად გამმიჯნავი ხეი-

ბის მნიშვნელობას წყლის ტერმინს დაუკავშირებ და, მით უმეტეს, როცა დასახლებათა სახელში საწყისშივე ეთნონიმს იგულისხმებ? აქ იმდენად ცოდნა კი არ იყო საჭირო, არამედ ხედვა! ამ შემთხვევაში რუსეთმა ეს შეცდომა (აფხართა მეცნიერული გარიყვა ქართული გენეტიკური ველიდან), სრულიად უმტკივნეულოდ, თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

ქართული აფხაზოლოგიური ნიხი

სა'სოგადოებას რომ ელემენტარული წარმოდგენა შეეკმნას ქართული მეცნიერული მხარის როლ'ზე აფხაზთა გაუცხოების საქმეში, თავს ვალდებულად ვთელი, ერთად წარმოვიდგინოთ სხვადასხვა მეცნიერთა ძირითადი შეხედულებანი ციტატებით.

I. პირველი, ვინც ეურადლება გაამახვილა „ფს-ბს“ ფორმანტიზმის მნიშვნელობით ხასიათ'ზე, გახლდათ მოსე ჯანაშიელი. 1894 წლის გა'სეთ „ივერიაში“ (№127) იგი აქვეყნებს სტატიას ნეენთვის მეტად მნიშვნელოვანი სათაურით „ვინ უნდა იყენენ ბესებო?“ საკითხის დასმის სახით ჯანაშიელი დასკვნის გარე'შე, პრობლემა'ზე 'სოგადად მსჯელობს: „ობე'ს, ობე'სებად ოსებს დაუსახავდით, იმ ოსებს, რომელთაც „ქართლის ცხოვრება“ მეუდამ უწოდებს ოფსებად, ხოლო მეგრულნი დღესაც უწოდებენ ოფსებად (ოფსი-ოფსი-ობე'სი). თუ რომ არ გექონიდა ზემო ხსენებული ცნობა პლანო კარტინისა, ეოლინის მატიანოს, აგრეთვე რუსულ მატიანეში არ ყოფილიყოს ხმარე'ბული ხან ობე'ს, ხან ობე'სე“ (ივერიაა განმარტებად გამოყენებული! - გ. ე.).

II. ჯავახიშვილ-ჯანაშია-ნიქობაეას „აკადემიური“ მოსა'სრებები და არგუმენტები უკვე იცით, დაახლოებით ამ პოზიცია'ზეა აგებული 'სურაბ ანნაბაძის, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს, მერი ინაძისა და სხვათა პოზიციები.

III. პავლე ინგოროყვა აფხაზეთის ტოპონიმიკის საფუძელიანად შესწავლით აელენს მათ ქართული წარმომავლობის ძირებს, ამით ადგენს აფხაზეთის უძველესი მოსახლეობის ქართულენოვნებას. აქედან, წყაროების მიხედვით ეთნიკურად გაურკვეველ „აბაზგებს“ (მე-2 სა'უკ.) იგი აცხადებს ძველ ქართველებად შემდეგი ლინგვისტური გადასვლით: „მოსხიბასხი-აბასხი“. ეს კი ეწინააღმდეგება აფხართა („აბა'სა ხალხის“) მახსოვრობას საკუთარი წარმომავლობის შესახებ, რომელსაც ისინი აბა'ზგი-აბა'სა და აფსილი-აფსუა ტერმინების დღევანდელი უღერადობით ხსნიან.

ბუნებრივად იქმნება წინააღმდეგობა, ხოლო რას ნიშნავს ახრობრივად ტერმინები „აბაზა“ და „აფსუა“. ეს თაყადაც არ იციან!

სუენი პოზიციის გადასახედიდან პაკლე ინგოროყეაც ზოგადად ვერ სცდება პიდრო-მოდელს. იგი მას უპირისპირებს „ფს-ფშ“ ბგერათკომპლექსიან ქართულ საწყლო ლექსიკას. თავად მას მოუესმინოთ: „ცხადია, თუ დაუეშეებთ, რომ ეს სიტყვა ფსი-ფსისი, ფასი-ფასისი წერქესულიდან მომდინარეობს, მაშინ უნდა დაგეეშევა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც დასახლე-ბული იყო წერქესთა ტომებით, რომელთაც დაუტოეებიათ კვალი ადგილობრივ ტოპონიმიკაში“ (?). შემდეგ ინგოროყეა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს ფორმატი ქართული არქაული ფორმაა და აგრეთვე ნიშნავს წყალს. მისი ძირითადი არგუმენტებია:

ა. „ფშანი“-დიდი ფშა, წყარო-მდინარე“. ბ. „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *Urina*-ს სახელი ქართულად ფ(ა)სელი, საიდანაც დასტურდება, რომ ფუქე „ფას-ფს“ აღნიშნავდა ცნებას წყალი“ (?).

აქ უნდა ითქვას, რომ არც „ფშა“ (ფშანი) არის მდინარე (ფშა მდინარიდან გამოსული წყაროა, – საბა.) და არც *Urina*-თი (შარდით) არის მაინცა და მაინც მოხერხებული, მდინარე ფასისის ეტიმოლოგიის გაშიფვრა! ამდენად, ინგოროყეას ეს მოსახრებები, ისტორიკოსების აკადემიური მხრიდან თაყიდანეე, „არამეცნიერულ პატრიოტიზმად“ იქნა აღქმული.

IV. ნოდარ ღომოურის პოზიცია შემდეგია: „მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არც ერთი პირველწყარო არაერთარ, სულ მცირე მინიშნებასაც კი არ იძლევა აფსილებისა და აბაზგების ქართული (ქართველური) წარმომავლობის შესახებ, ხოლო თვით ეთნონიმთა ენათმეცნიერული ანალიზი (დაუკვირდით ვის ეყრდნობა ისტორიკოსი, – გ. ე.) ასევე უტყუარს ხდის აფსილებისა და აბაზგების აფხაზურ-ადიღურ წარმომავლობას“ (?). ხედავთ, საიდან მომდინარეობს აფხაზთა ადიღურობის ვერსია? „ჭეშმარიტების მაძიებელ“ ქართველი ლინგვისტებისგან!!! ახლა ნოდარ ღომოური აფხაზეთის მოსახლეობის ორაბორიგუნულ თეორიას უთავსებს შექმნილ ვითარებას!

V. გიორგი მელიქიშვილი აფხაზთა მიგრაციულ სურათს მკირე აზიიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ხედავს. იგი დასკვნას ერთადერთ სიტყვა - „ქაშქა-აბეშლა“-ზე დაყრდნობით აკეთებს.

VI. თამაზ გამყრელიძე ერთმანეთისგან კეოფს ტერმინებს „აბაზგ“-სა და „აბაზა“-ს:

„არსაიდან ჩანს „აბაზა“ და ბერძნული „აბაზგ“ ეთნონიმთა (გამყრელიძე) მას ეთნონიმად მიიხვევს, - გ. ე.) ეტიმოლოგიური კავშირი; ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ (რატომ? - გ. ე.) ამათგან ბერძნული „აბაზგ“ ფორმა ქართულში დადასტურებული „აფხაზ“ ეთნონიმის ისტორიული ეკვივალენტია, ხოლო აბაზა სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს (რა შინაარსს? - გ. ე.) და ჩრდილო კავკასიურ ჩერქეზულ-ადიღურ ენობრივ სამყაროს უკავშირდება“. გამყრელიძე არც აფხილ-აფსუებს თელის „ჩეკენიანებად“, და ეს მაშინ, როცა ვახუშტი ბაგრატიონი ტერმინებს „აბაზასა“ და „აფხაზს“ შორის არაორაზროვნად ტოლობის ნიშანს გულისხმობს: „არამედ შემდგომად განდგომისა დაიპერეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბაზა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი!“ („ქართლის ცხოვრება“ გვ. 784).

VII. აფხაზოლოგიის ერთი „ორიგინალური და ლინგვისტური ვერსია“ ეკუთვნის ენათმეცნიერ თეიმურაზ გვანცველაძეს. მან სულ ახლაახან „ადმოაინა“, რომ თავად ტერმინი „აფხაზი“-ც „ქართლის ცხოვრებაში“ ხელოვნურად ჩამატებული უცხო ელემენტი ყოფილა და მისი ჭეშმარიტი სამშობლო მდ. ყუბანია! ასეც ხდება!

ეფიქრობ, საგულისხმო უნდა იყოს ბოლო წლების ზოგიერთ აქტიურ „პატრიოტ მეცნიერთა“ მოხაზრებებიც, რომელნიც ასევე ჰიდრო-ეთნო მოდელის „აფხაზოლოგიური ჭაობიდან“ ეკამათებიან თავის „აკადემიურ“ კოლეგებს!

VIII. მაგალითად, „ფს“ ბგერათკომპლექსის მიმართ პანიკური შიშის ნათელ დადასტურებად გამოგვიადგება თეიმურაზ მიბნუანიის „გამოკვლევები“ მდ. ჭოროხის ძველ სახელ-ტერმინ „აფხართან“ დაკავშირებით სტატიაში „აფხაზები და აფსუები“ (გაზ. „საქართველო“, 7-9.3. 1998).

„მდ. ჭოროხის ბერძნული სახელია „აკამფსისი“ და „აფხაროსი“. ორივე ბერძნულია და ნიშნავს: „აფხაროსი“ („ა-ფხაროს“, სადაც ა უარყოფითობის აღმნიშვნელია, ხოლო „ფხაროს“ - თეუზი) - მდინარე, სადაც თეუზი არ არის (შიაქციეთ უურადლე-

ბა, რა ადვილად გაწვევია მიბნეანმა ჭოროხში ფაუნა?! – გ.ე.). ბერძნებს თან გაჰყვათ ეს გეოგრაფიული სახელები, ხოლო მდინარეს შერსა ადგილობრივი (!) სახელი „ჭოროხი“, რაც სკანურად სამერცხლეს ნიშნავს („ჭურ – მერცხალი“)(?!).

IX. საბოლოოდ, კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ გამახარიას 900–გვერდიანი წიგნიდან „*Абха-уа*“, რომელიც ეხება აფხაზოლოგიის ეკლასე მნიშვნელოვან საკითხს, „აფსილ-აბაზთა“ ეთნიკურ ვინაობას:

„არც „აფსილი“ და „აფსუა“ ეთნონიმების იდენტურობისათვის არსებობს რეალური საფუძველი. ეტიმოლოგიურად „აფსილი“ წარმოსდგება ბერძნული „პსილი“–საგან (შიშველი, მელოტი, ქანალი) და უარყოფის-ა ნაწილაკისაგან. შესაბამისად, „აფსილი“ ნიშნავს ვინც არაა შიშველი, მელოტი, ქანალი, არის შეუბუმბლავი“, – ასკენის გამახარია.

მიბნეანისა და გამახარიას „მეცნიერულ“ – პირადული სურვილი გამჭვირვალეა – ნებისმიერი საშუალებით მოაშოროს ტერმინ „აფსუას“ მისი თანაბრადხმოვანი ისტორიული ტერმინი „აფსილი“! ვინ როგორ შეხედავს ამას ხეაღ პოლიტიკურად, სულერთია! თუ ამასე კომენტარს გააკეთებდი, ეს თემა, როგორც ხედავთ, (აფხა)-ზოოლოგიური უფროა, ვიდრე ისტორიული, მეათადი კი ხელოვნურ-შერწყვითია, სელექციური!

ასეთია მოკლე მიმოხილვითი სექტრი ქართველი „აფხაზოლოგების“ სააზროვნო დიაპაზონისა. ერთადერთი პროფესიონალი ისტორიკოსი, რომელმაც კავკასიონის პირიქითეთს მეცნიერული მსურა მიაპერო, სურაბ რატიანი გახლავთ.

წუთით წარმოიდგინეთ, იმყოფებოდეთ იდეოლოგიურად ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში და იქიდან უსმენდეთ ამდენ სხვადასხვა „მეცნიერულ ჭეშმარიტებას“? ყოველივე ზემომოყვანილი ხომ მხოლოდ ერთ რამეში გვარწმუნებს – ყველაფერი ჩვენი ბრალია!

ჩვენ შეეკმენით მათგან უცხო ეთნოსი და ახლაც ყოველნაირად ვაღრმავებთ ამ დაპირისპირებას, ვნათლავთ რა მას ეთნოკონფლიქტად. ამის გამო არ არსებობს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის იდეოლოგიური პლატფორმა. ლტოლვილი პოლიტიკოსები ამ მკედარ მეცნიერულ ნიადაგზე „მშვიდობიან“ ოცნების კოშკებს აგებენ. სოფი კი სხვის იარაღს აუღარუნებს. ან რა დღეშია „აფხაზთა“ თუ „ქართველთა“ ათ ნაწილად გახლეჩილი საზოგადოებრივი აზრი, თავად საკითხით ან ამ საკითხით

დაკავებულ მეცნიერთა შესახებ, ამის განსჯა თქვენთვის მო-
მინდვია.

„აკადემიურთა და პატრიოტთა ღუგული“

ამ ორ, „აკადემიურ“ და „პატრიოტ“ აფხაზოლ-ოგთა შორის, ათწლეულობით უაღრესად მწვევე დამოკიდებულებაა. პირველნი „პატრიოტებს“ საერთოდ მეცნიერებად არ თვლიან და არც ეკამათებიან მათ, ხოლო ეს უკანასკნელნი „აკადემიურებს“, „სიყალბის გამაერცვლებლად“ და „ისტორიის ფალსიფიკატორებად“ ნათლავენ. ასეთია დღევანდელი რეალობა. მათი მორიგება კი არა, ერთად დასხდომა ვერ მოხერხდება ევრასდროს! ეს კიდევ არაფერი, რაზეც მე ვლაპარაკობ, ისე აქეთ ყოველივე მიწურმათებული, რომ საზოგადოების არც ერთმა ფენამ ამ სა-
კითხ'ზე არაფერი იცის! ამიტომ არის, დროდადრო რომ გად-
მოდგებიან „ერის სალონური მამები“ და ეახიდად კითხულობენ,
– რატომ ერთად არ სხდებიან სპეციალისტები და არ მორიგდუ-
ბიანო?

ამის მაყურებელი აფხარნი, დიდი ხანია, ამბობდნენ:

Вы там разберитесь грузины, а потом нас обучайте!-ო.

მეცნიერებას და ე. წ. „სპეციალისტებს“ რომ თავი დაე-
ანებოთ, არც ერთი მათი მიმართულება, არც იდეოლოგიურად,
არც პოლიტიკურად, საქართველოს საერთო საქმისათვის მის-
აღები არ არის. ორივეს ერთად და ცალ-ცალკე, კონფლიქტი-
საკენ მიჰყავდა და კელაე მიჰყავს საქმე! ერთმანეთს ეჯიბრე-
ბიან, ეინ უფრო ღრმა თხრილს გაიყვანს „აფხაზებსა“ და
დანარსენ საქართველოს შორის!

ახლა ორაბოროტგენული თეორიით უნდათ მკედარი მეცნიერ-
ული წერტილიდან გამოსავალი მოძებნონ და მაშველ რგო-
ლად გამოიყენონ.

ისტორია ხომ აღგებრა არ არის, ორი მინუსის ნამრაველი
პლიუსს გვაძლევდეს. მსოფლიო ისტორიოგრაფიაში გაუგო-
ნარ აღმოჩენასთან გვაქვს საქმე!

რა არის ის საერთო გასაღები, რომელიც ბოლოს და ბოლოს, ყველა კითხვას ერთი კრიტერიუმით უპასუხებს?

აღმოსწინილია კავკასიის ქედის, როგორც ძველი მსოფლიოსარი სამიწათმოქმედო და სამომთაბარო ნაწილად ბუნებრივი გამყოფის რეგიონალური როლი (ხელოვნური „წინეთის დიდი ქედის“ დანიშნულების ანალოგიით) და მასთან, ჩრდილოეთის მხრიდან, უნაგირული სქემით, თვითორგანიზებადი თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი დასახლებების არსებობა (კაზაკური ტიპის).

ამ ისტორიული ფუნქციის აღსრულება ყოველთვის ერთხეულოდა სამხრეთის ყველა დიდი ცივილიზაციების ინტერესებს და მისი უშუალო შემსრულებლები ვიყავით ჩვენ, გიორგიანნი, პონტოს ზღვიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე.

„ფას-ბას“ ფონეტიკური კომპლექსი ქართულ-აფხაზური ლექსიკური მარაგით შესატყვისია ზღვრის, გამყოფის, გამმიჯნავის, ბოლოს, კიდურას აზრობრივ მნიშვნელობასთან და მის მომსახურებასთან დაკავშირებულ კატეგორიაში იყრის თავს მესაზღვრის თუ მცველის სახით!

საქმე ისაა, რომ ისტორიულ-გეოგრაფიულად მდინარესა და, შესაბამისად, მის ხეობას, გაცილებით მნიშვნელოვანი დატვირთვა ეკისრებოდა და ეკისრება, ვიდრე მასში გამდინარე სითხის განმარტებაა, – ვთქვათ, წყალი, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს იგი თქმული. ეს არის გეოგრაფიული ტერიტორიების ადმინისტრაციულად გამყოფი ნიშნულის ფუნქცია – ხეობა თუ ქედი!!!

ეს არის და ეს აფხაზოლოგიის უმარტივესი გასაღები. სრულიად საკმარისი აღმონდა უარი გუთქვა „ჰიდრო-ეთნო-მოდელზე“, რომელიც, როგორც ღარწმუნდით, თვით აფხაზური ენითაც კი არ დასტურდება. ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და „აფხაზოლოგიური ჭაობი“ ფაქტობრივად ამოშრა. ძირითად და ამოსავალ მიგნებად მაინც შეიძლება წაითვალოს არიანესა და სტრაბონის მითითებები ტერმინ „ფაზეს-ზე“, როგორც ზღვრის, ბოლო მიჯნის კატეგორიასთან უშუალო კავშირში. ამ ავტორების მონაცემებით, მითოლოგიური სახელი „ფაზისი“ არ გახლავთ მდ. რიონის ძველი ჰიდრონიმი! იგი წარმოდგენილია, როგორც ზღვრის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ევროპისა და აზიის) კატეგორია. რიონი - ევირილა – ჩხერიმელას ხეობათა სახით!!! ასეთი უძველესი დადასტურებული მონაცემი საშუალებას იძლევა, ამ სადაო

ბგერათკომპლექსს საბოლოოდ ჩამოვაშორეთ მისი პიდრონიშური იარღლიყი! შეესაბამისად, სახელეები "აფსილი" (აფშილი), "აფსარი", "აფსუა" და სხვა კარგაეენ როგორც პიდრო, ასეეე ეთნიკურ შეყვერ-ილობას და ახალი აზროვნების სფეროში გეაქცეეენ! თანაბრად – აბაზგი, აბაზი, ებსე, თბესი, აბეშლა თუ ნებისმიერი ამ ხმოე-ანების სემანტიკურად აუხსნელი ისტორიული სახელნი ფუნქ-ციონალურ სამესახლერეო დანიშნულებას იქენენ. ეეელაზე მოუ-ლოდნელი კი ის აღმოჩნდა, რომ ისინი თავის-თავად განეყინენ სრულიად კავკასიის გასავალი გზების უსტრატეგიულეს წერტილებ-ში! გამოსნდა ღლოგიკური სქემა, რომლის გაუთვალისწინებლობა და უარყოფა შეუძლებელია!

ამრიგად, "ფონეტიკური ეთნოპოლიტიკის" ნაცვლად, გიორ-გიანთა საცხოვრისის მთელ პერიმეტრზე ადგილს იკავებს "ფონეტიკური სტრატეგიული გეოგრაფიის" რეალური ისტო-რიული სურათი!

ჯერ კიდეე 1994 წელს, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე (4-5/10) სტატიაში, "ნუ უფრთხით სიტყვა "აფსუას" ანუ "ღამის დარაჯებით" ამოხსნილი პრობლემა", ნეენს მიერ ბოლომდე იყო წარმოდგენილი კონცეფცია: "შე ვამტკიცებ, რომ სიტყვა "კერკეტონი" არ არის ეთნონიმი და არც ადილური წარ-მოშობისა (თანაბრად "პენიოხის", "აბაზგის", "აბაზის", "აფსა-რისა"). იგი ქართველური სამყაროს სასახლერო-გასამხედროე-ბული დასახლების ერთ-ერთი ადრინდელი სახელია, გეოგრაფი-ულ-სტრატეგიულ დერეფნებში გამოყენებული!"

"აფსართა ენის" ადგილი

განსახილველი საკითხისადმი ასეთი ზოგად-კავკასიური მასშტაბური ხედვით ენობრივ-ბარიერული მიდგომა საერთოდ აზრს კარგავს, რადგან კავკასიონის ზღუდის პირიქითეთში, იქ, სადაც ეთნოსახლვარი პირობითი ხასიათისა იყო, ორენ-სენება ეეელგან ისტორიულ ხასიათს ატარებდა.

კავკასიონის პირიქითეთის დაცვის ზოლში ათასწლეულობთ მცხოვრებთა ყოფის წესი გარემო პირობებთან შემგუებლობას ითხოვდა, უშუალო კონტაქტში მეოფე უცხო ეთნოსებთან. ასე-თი ეთნონიშური სამოსახლეო კანონზომიერად არის განფე-ნილი პირიქითეთის მთელ სიგრძეზე "ლეკანის სახლერიდან, ვიდრე ზღუამდე პონტოსი". შედეგად აღმოსავლეთ საქართვე-ლოს პირიქითეთში დომინირებს ვაინახური ენების ელემენტი –

"ბაცბური" (წოვა თუშური) და "დვალური" ენების სახით. დასაყ-
ლეთ საქართველოს პირიქითეთში აღიღური ენების ლექსიკის
ნარევი ჰარბობს, როგორც "სეანურში", ასევე "აფსართა ენაში",
რომელიც წყენი გამოკვლევით, კავკასიის ერთ-ერთ ეთნოიმუნურ
ენას წარმოადგენს. "ენის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ გვარტო-
მობის შესახებ და პირუკუ, გვარტომობა ენის საკითხს არ არკვევს",
– წერს არნოლდ ჩიქობავა. მით უმეტეს, თუ ეს ენა ორენოვნებ-
ისა და სოჯერ სამენოვნების ფონზე ვითარდება.

რა არის ამაში საკვირველი, გაუგებარი ან, თუნდაც, უარსაყ-
ოფი მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს სამეფო კარის ეზოს-
მოდვერებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს, შთამომავლებისათვის და-
ეტოვებინათ ცნობები საზღვრების დაცვის შესახებ (აფსარ-
ი კი არა, რუსთაველი "გამორჩათ" მიხედველობიდან!). ეს ხომ
ფაქტების მთელი ჯაჭვია, რომელთა ერთ ლოგიკურ სიერცვეში
მოქცევა ახალი აზროვნების სიერცვეს აჩენს. ყველა ეს ენა
ადგილზე ყალიბდებოდა პირიქითეთში, კავკასიონზე უნაგირ-
ული სისტემით ცხოვრებისა და სამესაზღვრეო მისიის აღ-
სრულების საუკუნოვანი ინსტიქტით.

პროფესიონალთ ისტორიკოსებო, ვახუშტი ბაგრატიონის
რუკას თუ დაკვირვებებხართ, სად "მოუქცევა" ბატონიშვილს
სვანეთი? პირიქითეთში, ბატონებო, პირიქითეთში! ჰოდა, მის
გაგრძელებაზე ხომ პირიქითა აფხაზეთი იყო?!

ტერმინები – "აფსარი" და "აბაზა" არ არის ენისა თუ ეთნი-
კურ სამოსელში შესამოსი კატეგორია. როგორც კი ამას წარ-
მოვიდგენთ, საკითხი მეცნიერულად სრულიად ურკვევადი ხდება!
ისტორიული სახელები: "კერკეტები", "ჰენიოხები", "სანიგები",
"ქორაკები", "აბაზგები", ("აბაზები"), აფშილები ეთნიკურად
ურკვევადია. ისინი თვითორგანიზებადი სასაზღვრო დაცვის
ისტორიულად და რეგიონალურად (ველად სახელთა შესატყვი-
სობაა, რაც როგორც ქვემოთ დავინახავთ, აფსართა ენითაც
დამტკიცდება.

სიტყვა "აფსარი" – სამესაზღვრეო სამსახურის აღმსრულე-
ბლის ტერმინია.

"აფსართა ენა" – კონკრეტულად მხოლოდ ჩრდილო-დასაყ-
ლეთ მიმართულებით მდგარ "აფსართა" თუ "აბაზათა", "კბზე-
თა", "ობეზთა" კუთვნილებაა!

ასეთი ხედვით, ამიერიდან გონიერებას დაემორჩილება ორი
ურთიერთგამომრიცხავი ფაქტის ერთდროული არსებობა: აფხ-

ახეთის ქართული ისტორიული კულტურული მემკვიდრეობისა და მის პარალელურად, მეცნიერთა მიერ (სახელთა ეტიმოლოგიურად გაუხსნელობის გამო) "არაქართულად" შერაცხული სამეცნიერო მოსახლეობის ისტორიული თანადროულობა! იხსნება გზა ერთაბორიგეობის აღიარებისაკენ!

იქნებ, აღარ დავაყენოთ ასე გამაღიზიანებლად "პატრიოტთა" მიტოცვებას მოკლებული თეზა, რომ "აბაზგები და აფსიდლები თურმე "ძირძველი" ქართველებია, ხოლო აბაზები და აფსუები არა", რაც აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ გამოქვეყნებულ "პატრიოტულ-სამეცნიერო" ლიტერატურის ძირითადი აპრიორული თემაა! ეს ხომ მხოლოდ აღრმავებს "აფხაზურ" დაპირისპირებას!

ეს არის აზროვნების ის კეთხე, რომლითაც უნდა ვუყურებდეთ სამომთაბარო და სამიწათმოქმედო სამეაროთა დაყოფის მსოფლიო ისტორიულ მოვლენას, რომლის შემთხვევითი და უშუალო შემსრულებელნი წეენ აღმოვინდით, როგორც მსოფლიოს უსტრატეგიულესი ზონის მცხოვრებნი.

აბა, წეენი ხედვით გაიაზრეთ ყველასათვის ცნობილი ქართული წყაროები:

ა. "ეს მდინარე აქეუნტი (იწოდება ბასისად და) ჯიქებსა დ სანიხებს შორის შუა არს" (!) - (ანონიმი). მდინარის მეორე, პარალელური სახელი (ბასისი) (ფაზისი, როგორც ტექსტობრივად, ისე ტერმინოლოგიურად ზღვარს ნიშნავს!!!

ბ. "ნიკო(პს) ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა"-ლეონტი მროველი. აქაც საზღვარზეა საუბარი!

გ. "ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეისაი და ნა(ფს)აის ნავთსადგური" - იოანე საბა-ნისძე.

როგორც ხედავთ, გაურკვეველ ბგერათკომპლექსთა მატარებელნი სახელნი ყველგან საზღვრებად არის მოხსენიებული.

დასასრულ, ყველა მიმართულების მიდრო-აფხაზოლოგებს მინდა წარმოუდგინო წეენი კონცეფციის დამადასტურებელი მასალები" აფსართა ენის" (ანუ მესაზღვრეთა) ლექსიკიდან. გავაკეთოთ სრული შედა-რებითი სურათი: ივანე ჯავახიშვილი საკითხთან დაკავშირებით წერს:

"ყველა ზემომოყვანილი სახელები იმ თვალსაზრისით და იმიტომ არის საყურადღებო, რომ ამ ფს-სა და ფშ-ს მდინარის სახელში აფხაზურად ევრაეითარი განმარტება ეერ მოეძებნება,

სამაგიეროდ – კი "ფსკე" ნერქე"სულად წყალს ნიშნავს, "ფსუხო" – მდინარეს" (?!).

"ამავე მასალის ანალიზით აფხაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყლის ძველისძველი მოსახლეობის ტომობრივი ვინაობის გაგება(ც ხერხდება" (ჯავახიშვილს აქაც კვლავ ნერქე"სები ჰყავს მხედველობაში) (?!).

თუ ყოველივე ეს სინამდვილესთან ახლოა, მაშინ ხომ სრულიად გაუგებარია "აფხართა ენაში" ფონეტიკურ-აზრობრივ შესატყვისობათა არარსებობა!

აფხარ-ქართული ბგერათმეცნიერების ერთიანობა

ახლა კი ვნახოთ, "უძებნება" თუ არა "სასაზღვრო-სტრატეგიული მოდელით", "აფხართა ენის ლექსიკაში, აზრობრივი შესატყვისობები იმ მრავალ ფონეტიკურ კომპლექსებს, რომელთაც ჰიდრო-ეთნო მოდელში, ათწლეულობის განმავლობაში თავისი ადგილი ვერ ჰპოვეს!

1. ა(ფს)ოსრ-ჯარი, ღაშქარი!!! მისი შეკვეცილი ფორმაა "არ" (შედარებით აფხარს, როგორც სამესაზღვრო კონტიგენტის ჩვენეულ წარმოდგენას).

2. ა(ფს)თა-ხეობა (როგორც ხედავთ ხეობა და არა წყალი თუ მდინარე)

3. ა(ფს)თა-ტყვია (დანაშაულებრივი ატრიბუტიკა)

4. ა(ფს)ა -შუბი, ღახვარი, ოროლი (იარაღი)

5. ა(ფშ)სიხურა-სეერვა, დასეერვა!!! (პროფესიულ დანაშაულეუბაზე მეტიველებს)

6. ა(ფშ)ისხუე-მსეერავი (აქაც!)

7. ფს(ხუა)-საშეული!

8. ა(ფს)ა-ფასი (როგორც ქართულში-ღირებულების ზღვარი)

9. ა(ფს)ადგხსლ-სამშობლო (აფხართ ადგილი სამშობლოს საწყისია-საზღვარი)

10. ა(ფს)ახრა-გამოცვლა, შეცვლა (ერთის დამთავრება, მეორეს დაწყება)

11. ა(ფს)რა-ქრობა, გაქრობა (ანუ ბოლო, დასასრული)

12. ა(ფს)-სული (აფხნის-აფხაზეთის, როგორც "სულის ქვეყნის" განმარტება არასწორია. უნდა იყოს "აფხართ ქვეყანა".

მრავალი შემთხვევა ეხება სიცოცხლის ბოლოს, და სასრულს, ასე მაგალითად:

13. ა(ფს)ათა-სასუფეველი.

14. ა(ფს)ათაბ'ხია-განსვენებული და სხვა მრავალი.

აქვე მოგაგონებთ ქართული ლექსიკური ფონდიდან 'ხღერის კატეგორიაში მოხვედრილ სიტყვებს: ა(ფს)ეი, (ფს)ეერი, (ფს)ეი, (ფს)ეენა, (ფს)ეენჯი, (ფს)ეი უ(ფს)ერული.

ასე და ამგვარად, ქართული და აფხარული ბგერათსიმბოლიკური სააზროვნო სივრცე ერთ სიბრტყეში მოექცა და აფხარული ლექსიკის აზრობრივი მნიშვნელობებით პირველად გახმოვანდნენ! ასეთი მი-დგომით აფხაზოლოგიურ ძიებათა ლაბირინთში, „ფს-ბზ-ფშ“ ბგერათკომპლექსნი თავისი ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობით ერთ კატეგორიაში განთავსდნენ!

აქვე, ისტორიკოსებს სამომავლო გაფრთხილება მინდა 'შევთავაზო: ენაში დაღუპილი ისტორიული სინამდვილენი ენის ლექსიკაში უნდა ვეძიოთ და არა მორფოლოგიური სტრუქტურის მსგავსებებში სხვა ენებთან!!!

რაზეც ვსაუბრობთ, იმდენად მარტივი, გასაგები და ცხადია ამ ენებზე ყველა მოლაპარაკეთათვის, დამეთანხმებით, პროფესიონალი ლინგვისტების დახმარების გარეშეც მოვევლება საქმეს.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს განეაცხადოთ, რომ თუ აფხაზოლოგიის პრობლემური საკითხები, ლინგვისტიკის დონეზე რჩება გადასაწვევტი, მაშინ ეს ამოცანა შესრულებულად შეიძლება წაითვალოს! ჩვენი ისტორიული ერთიანობის მორყეული ცნობიერება ასეთნაირად უნდა აღსდგეს!

„არშას {ბაზ}ალი ჯურღში,
ვეფხვი – პწკალებზე დგებო,
განჯას შაგლიჯა კარები, –
ნემს არშას მაუხდებო“.
(მოხვეური სახა'სღერო
ფოლკლორიდან)

ქართული ლინგვო-ისტორიული მეცნიერება აფხაზური სეპარატიზმის წყარო

წინათქმა

ქართული სა'ხოგადოების, მათ შორის სა'ხოგადოებრიობის საგრძნობი ნაწილის აკადემიური ცნო-ბიერება დღემდე სერიო-ოზულ ტენდენციურობას აელენს აფხაზეთის ისტორიისა და აფხაზური ეთნოსის პრობლემებისადმი, რის უშუალო მიზეზადაც ქართველ მეცნიერთა ნაშრომების დასკვნები მიმანია, რომელთა საბედისწერო შეცდომების მსხვერპლიც გახდა მთელი საქართველო.

აფხაზურ კონფლიქტს საფუძვლად უდევს უცხო ისტორიული წყაროებით ამ ტერიტორიაზე დადასტურებული ისეთი ტერმინები, რომელთა ეთნიკური მნიშვნელობების დადგენა ვერ ხერხდება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია, "ფს-ბ'ზ" ბგერათ-კომპლექსთა შემცველი და აფხაზეთის ტერიტორიაზე II საუკუნით დათარიღებული "აბაზგად" და "აფსილად" წოდებული მოსახლეობა; მიუხედავად ამისა, მეცნიერთა მხრიდან, მათ შორის ქართველ მეცნიერთა პოზიციიდან ისინი, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, მაინც ეთნიკურად აღიქმებოდნენ (?). ამ ილუზიამ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებისა და ისტორიულად არარსებული მიგრაციული თეორიები წარმოშვა, რომელთა მიმდევრები, მიუხედავად ამ საბაბით გამოწვეული ტრაგედიისა, კვლავ აგრძელებენ უსაგნო ნახევარ-საუკუნოვან კამათს! ქართველ მეცნიერთა ორ ფრთას შორის შეუთანხმებლობა აფხაზეთის მიწის აბორიგენული მოსახლეობის დადგენისათვის ასეთი კუთხით მიმდინარეობს:

არიან თუ არა დღევანდელი აფხაზნი (რომელნიც თავს ასევე "ა[ბას]ა ხაღხად" თვლიან ანუ ა[ფსა] -რებად ანუ ა[ფს]უებად) II საუკ. "ა[ბას]გთა" და ა[ფსი]ლთა" გენეტიკური მემკვიდრენი?

პირველი ფრთა დადებითად პასუხობს მათ გენეტიკურ იდენტურობას არაქართულ (ადილურ) საფუძველზე და აფხაზეთის აბორიგენულ ეთნოსად მიიჩნევს მათ. საპირისპირო ფრთა ძველ ა[ბაზ]გებსა და ა[ბას]ებს, მიუხედავად სახელთა ხმოვანების სრული იდენტურობისა (!), ახალ არაგიორგიანულ (ადილურ) მოსახლეობად (?) თვლის და ეს მაშინ, როცა არც ერთ

მათგანს არა აქვს ასეთთა მტკიცების პირდაპირი ისტორიული მონაცემები!

მოყვანილ ნაშრომთა დანიშნულებაა კონფლიქტის მომწესრიგებულ სტრუქტურებსა თუ ფართო მკითხველს ამცნოს "აფხაზთალოგიაში" მეცნიერული გასაღების მიკვლევის შესახებ. უყურადღებოდ დარჩენილ და ყველა პროფესიონალისათვის (კნობილ დოკუმენტურ პირველწყაროებში გამოვლენილია ყველა იმ სადაო სიტყვათა (მათ შორის "აბაზგისა" და "აფსილის"), ჭკმმარიტი, აზრობრივი მნიშვნელობანი, რომელთაც მეცნიერული დავა კონფლიქტამდე მიიყვანეს.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა სრულიად ახალი, (კომპლექსური) მიდგომები, რომელნიც ერთ აზრობრივ ფოკუსში იყრიან თავს.

1. ისტორიულ ტერმინთა სიმეტრიის პრინციპი

1. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე წყაროებში მოთხებულ უძველეს დასახლებათა ისეთი სახელნი, როგორიცაა კერკეტი, პენიოხი (ინიოხი), ქორაკსი, აფსარი და სანიგი (სანი), სიმეტრიულად მეორდებიან კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ღერძის ფაზისის მიმართ უკიდურეს წრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამასთან სწორედ იქ, სადაც ისტორიული კოლხიდისაკენ მიმავალი აფხაზეთისა თუ ლაზისტანის ვიწრო სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო დერეფნებია!

2. პირველი სამი ტერმინის (კერკეტი, პენიოხი, ქორაკსი) მნიშვნელობის დადგენა, როგორც თავდაცვითი ფუნქციონალური, უშუალოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით ხერხდება!

დასკვნა: არც ერთ, მეცნიერულად სადავო, და წყაროებში რეალურ დასახლებათა აღმნიშვნელ უძველეს ტერმინს ეთნიკური დატვირთვა არ გააჩნია და დაცვითი სამსახურის ტერმინოლოგიიდან იღებენ სათავეს!

II უძველესი ისტორიოგრაფიის ახლებური ხედვა

1. პეროდოტი, სტრაბონი და არიანე არაორაზროვნად განმარტავენ ტერმინ [ფაზისის, როგორც ზღერის მნიშვნელობას!

2. ძველი რუსული და იტალიური წყაროები გვიდასტურებენ „ობესი“, „ებზე“ ტერმინთა, ივერთან და გიორგიანელთან სინონიმურობას.

3. ქართული ისტორიული მასალების მიხედვითაც ფს-ბზ ბგერათკომპლექსთა შემცველი ყველა ტოპონიმი, გამონაკლისის გარეშე, ტექსტობრივად უშუალოდ სახლვარს განმარტავს!

4. ეახუშტი ბატონიშვილი ქართულ ქრონიკაში „აბასა“ და „აფხასეთი“ ტერმინთა აზრობრივ იდენტურობას ადასტურებს!

დასკენა: ტერმინები აბაზგი, აბაზა, აფხარი, აფსილი (აფსუა) - კავკასიონის მცველთა (ჩრდილო და სამხრეთ მისადგომებიდან) ფუნქციონალურ დასახლებების რეგიონალურ სოგად სახელებად გვევლინებიან!

III. კავკასიონის თავდაცვითი სისტემა „კავკასოსი“..

1. ფას-ბას ბგერათკომპლექსთა სასაზღვრო მნიშვნელობა მასშტაბურად და საბოლოოდ დადასტურდა საგიორგიანოს ისტორიულ-გეოგრაფიული საცხოვრისის მთელ პერიმეტრზე სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს სასაზღვრო გეოგრაფიულ წერტილებში მათი აღმოჩენით!

2. „ქართლის ცხოვრების“ მითოლოგიურ ნაწილში მინიშნებით მოყვანილი თარგამოსიანელთა მერვე ძმის, „კავკასოსის“ საცხოვრისი ადგილი პირიქითეთში და ტექსტში მითითებულ, ეთნიკურად გაურკვეველ „კავკასინ“-ს არსებობა ადასტურებს თავდაცვითი სისტემის რეალობას.

დასკენა: ფას-ბზ შემცველ სიტყვათა გაერცვლების გეოგრაფია არ გვევლინება საკუთრივ აფხაზურ-რეგიონალურად! ისინი „ნიკოფსიიდან ვიდრე დარუბანდამდე“ სასაზღვრო ტერმინოლოგიური დანიშნულებით ერცვლდება! აღბანელები, თუშები (ბასბები), ხევსურები, მოხეყენი, დვალეები, სვანები და აფხარები (ანუ აბასები) კავკასიონის ჩრდილოეთიდან ძველი მსოფლიოს ორ, სამომთაბრო და სამიწათმოქმედო სამყაროთა გამიჯნავ, ისტორიულ საერთაშორისო საზღვრის რეგიონალურ მცველებად გვევლინებიან!

IV. „ლინგვისტური არქეოლოგიის“ მეთოდი

1. სიტყვათა ძირების თანხმომიან ბგერათა კომპლექსნი ენაში აზრის მატარებელ ფუნქციას ემსახურებიან და საუკუნეების მანძილზე ინახავენ ინფორმაციას. ამიტომ, ენის ლექსიკაში მოძიებული ანალოგიური თანხმომიან-კომპლექსებიანი სიტყვები ერთ აზრობრივ კატეგორიაში იყრიან თავს!

2. აბორიგენული ენების შემთხვევაში შესაძლებლობა ჩნდება, თანამედროვე ენის გამოყენებით მნიშვნელობადაკარგულ ისტორიულ ტერმინთა აღსრობრივი რესტავრაცია მოვახდინოთ, რითაც ისტორიის გაცოცხლებაა შესაძლებელი.

3. ქართულ ლექსიკაში მოძიებული „ფას“ ხმოვანების კომპლექსის მატარებელი ყველა სიტყვა ზღვრის აღსრობრივ კატეგორიაში მოექცა!

4. ანალოგიური შედეგი გეიხვენა „ლინგვისტური არქეოლოგიის“ მეთოდის „აფსართა ენა“ზე მიყენებაში!

დასკვნა: ვინაიდან „ფას“ ბგერათ-კომპლექსის მნიშვნელობის მიმართ ქართულ და აფსარულ ენებში აღმოჩნდა ერთი და იგივე სასაზღვრო მახსოვრობა:

ა. საბოლოოდ შეიძლება ითქვას უარი „ფას-ბას“ ბგერათ-კომპლექსთა წელის მნიშვნელობით ინტერპრეტაციაზე, როგორც ადილურ (ჯავახიშვილ-ჯანაშია-ჩიქობავა), ასევე ქართულ (ინგოროყვა) სადავო ვერსიებზე! იხსნება გზა მეცნიერული ერთაბორიგენობისაკენ!

ბ. გიორგიანთათვის ასე დამახასიათებელი ორენოვნების სინამდვილეში, აფსართა, დვალთა, სვანთა, ბასბთა ენები, სასაზღვრო დანიშნულების ეთნო-იმუნურ ენებად გვევლინებიან და მათი „ინდო-ევროპისტიკული“ ლინგვისტური მეთოდოლოგიებით შესწავლა და მითუმეტეს დახარისხება, ისტორიული მახსოვრობის ნგრევის მეტს არაფერს მოუვლენს არც ერთ მხარეს!

დამატება

2000 წლის 26-27 აპრილი № 43 (1114)

“რესპუბლიკა აფხაზეთი”(სოხუმი)

აფხაზ მეცნიერთა შეფასებაზე

თბილისელმა ქართველმა მეცნიერმა გაიოზ ერაძემ “რესპუბლიკა აფხაზეთი“-ს რედაქციას მოგემართა თხოვნით განხილულიყო ქართულ-აფხაზეთურ ურთიერთობის ისტორიაში მისი სამეცნიერო კონცეფციის პუბლიკაციის შესაძლებლობა. წერილში, რომელიც ჩვენ გადმოგვცა საკოორდინაციო კომისიის მდივანმა ბატონმა სურაბ ლაკერბაიამ, ასევე ნათქვამია, რომ ბ-ნი ერაძე ამ

საკითხში არ სარგებლობს საქართველოს სამეცნიერო წრეების მხარდაჭერით.

"რა"-ს რედაქციამ სთხოვა აფხაზეთის პუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის, "ანა"-ს მეცნიერებს მოცემული ნამუშევრის რეცენზირება.

"რა"-ს

სამეცნიერო განყოფილება

"თბილისი" 1996 წლის 20 ოქტომბერი

სიახლე

თავდაცვის სისტემა "კავკასია"

გაიოზ ერადის სამეცნიერო გამოკვლევები საქართველოს ისტორიული თავდაცვითი სისტემის "კავკასიის" არსებობის შესახებ სალექციო კურსის სახით პირველად წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პირად შემადგენლობას. ისტორიულმა წყაროებმა აღნიშნულის თაობაზე ვერავითარი ცნობები ვერ შემოგვინახეს. ამიტომაც ავტორი სარგებლობს მეტად ღოგიკური და ყველასათვის გასაგები მეთოდოლოგიით ქართული სიტყვიერების "მეხსიერებით", რომელმაც იგი მიიყვანა მკაცრ გეოგრაფიულ კანონზომიერებამდე (სტრატეგიულ-ფონეტიკურ გეოგრაფიამდე).

ამ გამოკვლევაზე დაყრდნობით, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე ამუშავებს სამომავლო სტრატეგიულ გეგმებს.

რამდენადაც გ. ერადე გამოკვლევები უშუალოდ ეხება კავკასიონის ქედის დაცვის პრობლემატიკას, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სარდლობას აუცილებლად მიაჩნია მისი ფართო რეკლამირება სხვადასხვა ენაზე.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესცენტრი.

ამონარიდი გაეროს მისიის პოლიტიკურ მრჩევლის,
ბატონ ვესელის კოსტოვის ინტერვიუდან
(გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,
№ 22-28 თებერვალი 2002წ.)

“იალტის ქართულ-აფხაზურ შეხვედრის დროს (2001 წლის აპრილის), აფხაზური მხარის (ცხოველი ინტერესი გამოიწვია პუბლიცისტ გაიოზ ყრაძის ბუკლეტმა სათაურით: “ქართული მეცნიერება აფხაზური სეპარატიზმის კატალიზატორი“. ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად მე მომიცია მოლაპარაკების წარმართვა აფხაზური მხარის არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან. ამგვარად მე გაუხდი უნებლიე მოწმე აფხაზეთის ხელმძღვანელობის მხრიდან ბატონ ყრაძის ისტორიული კონცეფციისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა, რომელთანაც ისინი პრინციპულად გაცნობილი არიან და სთვლიან მას მეტად საინტერესოდ.

მათ ამ ინტერესში, სამწუხაროდ, მე ვერ აღმოვანიე კონცეფციის გარკვეული პრქტიკული პოლიტიკური მიზნებით გამოყენების სურვილი. ეს გასაგებიცაა... კონცეფცია ხომ ეწინააღმდეგება სეპარატულად განწყობილ წრეების ზრახვებს. ამიტომ, მათ ურწევნიათ, ეს თემა სახალხო დიპლომატიის დონეზე დასტოვონ. ამ თემაზე ცალკე მინდა გაენერდე. საკვირველი ჩემთვის ის არის, რომ უკვე შეიდი წელია რაც არსებობს მშვიდობიანი და კონფლიქტში მყოფ მხარეკეთათვის ორმხრივობისადმი მეცნიერული საფუძველი, ახალი ისტორიული კონცეფცია. იგი მთელი ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია (რომელთანაც მხოლოდ ოთხი თვეა, რაც გაცნობა მომიწია) და მხარდაჭერით კი არ სარგებლობს, თუნდაც, რევანშისტულად განწყობილი პირებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების დასაშოშმინებლად, რომელნიც ასე დიად, უკიდურესად აგრესიულად გამოთქვამენ აზრებს და ამით მხოლოდ ნავოს ასხამენ ცეცხლს. თუ გერმანიის გაერთიანებას 40 წელი მოანდომა მსოფლიომ, ეს რასაკვირველია არ ეხება საქართველოს (ივინის), თქვენთვის ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს დაახლოებით 10-15 წელი!

რასაკვირველია, იმ საშინელებათა შემდეგ, რომელიც თან სდევს ნებისმიერ ომს, მოსახლეობისათვის მეტად ძნელია მომხდართან შეგუება, როცა მსხვერპლთა ნათესაობა ცოცხალია, მარამ მხარეთა სტრატეგიული დიპლომატიისთვის ამას

მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ბატონ კრაძის კონცეფციის გამოქვეყნებას სამხედრო მოქმედებების დაწყებისთვის რომ დაესწრო, დარწმუნებული ვარ, არაფერი მოხდებოდა. ახალი კონცეფცია ეს არის ისტორიული ერთობის იდეა მოსახლეობის დაახლოვებისა, რომელიც ორივე მხარის უბედურებათა და ტანჯვათა სწრაფად დაფიქვების ერთადერთ საუკეთესო გზად მიმანია. დღესდღეობით კი, სახელმწიფოს მხრიდან კონფლიქტის დარეგულირების ანუ აფხაზური პრობლემის პოლიტიკური ამოქმედების მიმართულებად ვთვლი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას ახალი კონცეფციის მშვიდობისა და ერთიანობის ბაზაზე.

გაერო-ს მისია მზადაა მომავალშიც ყველა საშუალება გამოიყენოს ამ პრობლემის გადასაჭრელად სამართლებრივი ნორმების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტუაციაში ახალ ისტორიულ კონცეფციას არ ძალუძს სრულად გადაჭრას ეს ურთულესი პრობლემა, რომელთანაც გლობალური ხასიათის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხებია გადაჯაჭვული, მას დღესვე შეუძლია ნიადაგი შეამზადოს, გახდეს შეუცვლელად საჭირო პირველი ორის სასიკეთო მიმართულებით (ველილებ-ის მომენტისათვის“.

ეს არის მისტერ კოსტოვის პირადული აზრი.

CONTENTS

<i>From editor</i>	5
<i>The Simplest Scientific Solution to the Kartvelo-Abkhazian Conflict</i>	8
<i>Abkhazology? - It's so simple</i>	20
<i>Georgian Lingvo-Historic Research as the Source of Abkhazian Separatism</i>	25
appendices	28

ОГЛАВЛЕНИЕ

<i>От редактора</i>	32
<i>Оборонная система "Кавкасо" и "абхазология"</i>	35
<i>Абхазология? - Это так просто!</i>	64
<i>Грузинская лингво-историческая ниука источник абхазского сепаратизма</i>	70
<i>Приложения</i>	73

სარჩევი

რედაქტორისგან	76
"კავკასოს" თავდაცვითი სისტემა და "აფხაზოლოგია" ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უმარტივესი მეცნიერული გასაღები	114
ქართული ლინგვო-ისტორიული მეცნიერება აფხაზური სეპარატიზმის წყარო	128
დამატებანი	131

მხატვრული გაფორმება
ზაალ სულაკაური,
ოლეგ ქონაკიძე.
კომპოზიცია
ქეთევან ჯაყელისა